პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 მაისი, 1947 წ. № 93 (7877). ფასი 20 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს.

ორი წლის წინათ ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, სავსებით გაანადგურეს ფაშისტური გერმანია და ძლევამოსილად დაამთავრეს დიდი სამამულო ომი. საბჭოთა კავშირმა არა მარტო დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა ევროპის ხალხები.

დიდება ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1947 წლის 9 მაისი № 24 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს.

ორი წლის წინათ საბჭოთა ხალხმა, მისმა არმიამ, ავიაციამ და ფლოტმა, ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, სავსებით გაანადგურეს ფაშისტური გერმანია და ძლევამოსილად დაამთავრეს დიდი სამამულო ომი. საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა არა მარტო დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლეს ევროპის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხი.

მოგესალმებით და მოგილოცავთ საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს.

გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 9 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადსა, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება გერმანიის ფაშიზმზე!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს დიდ სტალინს, ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი, არმიის გენერალი
ნ. ბულგანინი

## დიადი გამარჯვების დღე

გამარჯვების დღე! ამ სიტყვებში ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ჩაქსოვილია დიდი სამამულო ომის დღეთა უმაგალითო თავდადება ფრონტზე თუ ზურგში. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია მრავალი საბრძოლო დღის სიმწარე და გამარჯვების, უმაგალითო ისტორიული გამარჯვების სიხარული. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია ხალხის უსაზღვრო სიყვარული იმ ადამიანისადმი, რომელიც სამშობლოსათვის საშინელი საფრთხის დღეებში მიგვიძღოდა წინ და მიგვიყვანა ამ გამარჯვებამდე—დიდი სტალინისადმი.

ორი წლის წინათ, როცა განადგურებულმა ფაშისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს, რაც მოასწავებდა ომის ჩვენი გამარჯვებით დამთავრებას, დიდმა სტალინმა მოგვმართა გულში ჩამწვდომი სიტყვებით:

„ამხანაგებო! თანამემამულენო!

...დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში თუ ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა“.

დიახ! დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა ხალხმა ამ ომში, მაგრამ იგი ამაყობს იმით, რომ ამ მსხვერპლის ფასად მან იხსნა კაცობრიობა ფაშისტური უღლის საფრთხისაგან.

ორი წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს, საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა ზეიმით აღნიშნეს გამარჯვების დღე. რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა არმიამ მოკავშირეთა არმიების მხარდამხარ ბრძოლით გაანადგურა აგრესიის კერა აღმოსავლეთში — იმპერიალისტური იაპონია. მთელ მსოფლიოში დამყარდა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა.

ყველა ქვეყნის ხალხებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ომში გამარჯვებისა და მშვიდობის დამყარების საქმეში. ყველა ქვეყნის ხალხებმა იციან, რომ ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ნამდვილი დემოკრატიის გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირი ურყევად დგას მშვიდობის სადარაჯოზე და ნიღაბს ხდის ახალი ომის გამჩაღებლებს, დემოკრატიისა და პროგრესის მტრებს.

ჩვენი ხალხი გამარჯვების დღეს ზეიმობს ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებისათვის, საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის შემოქმედებითი შრომის ვითარებაში. საბჭოთა სამშობლოს მშრომელები, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ომისწინა პერიოდში აშენებდნენ ბედნიერ, საამურ ცხოვრებას, რომლებმაც მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მტერზე, ახლა, ომისშემდგომ პერიოდში, ჩაებნენ მშვიდობიან შრომაში სამშობლოს აყვავებისათვის, მისი სამხედრო და ეკონომიური ძლიერების ამაღლებისათვის. ისინი თავდადებით მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ტრანსპორტზე, სამეცნიერო დაწესებულებებში. ამას მოწმობს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამას მოწმობს ამხანაგ სტალინისათვის ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან გაგზავნილი წერილები, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები პირობას აძლევენ დიდ ბელადს წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი, მოიყვანონ უხვი მოსავალი. ამას მოწმობს ახალი სესხის — ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის უმაგალითო წარმატებით გავრცელება. ადამიანები არ იშურებენ არც თავიანთ შრომას, არც თავიანთ ფულად დანაზოგს, რათა ხელი შეუწყონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხი, დიდი სიამაყის გრძნობით ზეიმობენ დღევანდელ დღეს. ქართველი ხალხი ამაყობს, რომ მას მცირე წვლილი როდი აქვს შეტანილი მტერზე გამარჯვების, მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. ასზე მეტმა ქართველმა მოიპოვა დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. მათ შორის არის მელიტონ ქანთარია, რომელმაც მიხეილ ეგოროვთან ერთად რაიხსტაგზე აღმართა გამარჯვების დროშა. ათიათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ათიათასობით ქართველ მშრომელს ომის დროს ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე ფრონტის დასახმარებლად თავდადებული მუშაობისათვის მიღებული აქვს საპატიო ჯილდოები—ორდენები და მედლები.

დღეს ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ჩაბმულია მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში. იგი ახორციელებს დიდ ინდუსტრიულ მშენებლობას, აძლიერებს მრეწველობის განვითარების ტემპს. იგი გაშლილ შეტევას აწარმოებს წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის, ავითარებს მეცნიერებასა და კულტურას.

ამ დიად შემოქმედებითს მუშაობაში მონაწილეობს საბჭოთა არმიის რიგებიდან, სამამულო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული მრავალი მეომარი. დღეს ისინი საკუთარი თვალით ხედავენ თავიანთი ბრძოლისა და გამარჯვების ნაყოფს და ფრონტული ენერგიით შრომობენ სტალინური გეგმის განსახორციელებლად.

დღეს, ბრწყინვალე გამარჯვების წლისთავზე, ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმათ, ვინც ვერ მოესწრო დღევანდელ ზეიმს და თავისი ლამაზი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების სამსხვერპლოზე, ვინც მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცა და ანდერძად დაგვიტოვა განვაგრძოთ შრომა და ბრძოლა საყვარელი სამშობლოს ბედნიერებისა და აყვავებისათვის. ჩვენი ხალხი წმიდად შეასრულებს თავის ვალს მათი ხსოვნის წინაშე!

დაე დღევანდელი გამარჯვების დღე გადაიქცეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, შემოქმედი, მებრძოლი ხალხის ძალების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვის დღედ, ახალი წარმატებების მოსაპოვებლად, ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის პირმშოს გმირ საბჭოთა არმიას, რომელიც მედგრად იცავდა და იცავს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

დიდება ჩვენს ბრძენ ბელადს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!



## ჩანაწერი ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1947 წლის 9 აპრილის საუბრისა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის მოღვაწე ჰაროლდ სტასენთან

**სტასენი** აცხადებს, რომ იგი ი. ბ. სტალინის მადლობელია მიღებისათვის. მან, სტასენმა, მიღება ითხოვა, რათა თავისი პატივისცემა გამოეთქვა ი. ბ. სტალინისადმი, როგორც სახელმწიფოს მეთაურისადმი. მან, სტასენმა, ევროპის ქვეყნებში მოახდინა საინტერესო მოგზაურობა, რომლის დროსაც მას განსაკუთრებით აინტერესებდა ცალკეული ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა ომის შემდეგ. მისი, სტასენის, აზრით, ხალხთა ცხოვრების დონეს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აყვავებისათვის. საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომის დროს და დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალშიც. იგი, სტასენი, ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური სისტემები სხვადასხვანაირია. სსრ კავშირის ეკონომიკა აგებულია გეგმიან, სოციალისტურ საფუძვლებზე და მის განვითარებას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. შეერთებულ შტატებში არსებობს თავისუფალი ეკონომიკა კერძო კაპიტალით. მისთვის, სტასენისათვის, საინტერესოა იცოდეს, ფიქრობს თუ არა ი. ბ. სტალინი, რომ ამ ორ ეკონომიურ სისტემას შეუძლია ერთად იცხოვროს ერთსა და იმავე მსოფლიოში და ერთმანეთთან ითანამშრომლოს ომის შემდეგ.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ ითანამშრომლონ ერთმანეთთან. მათ შორის არსებულ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც საქმე ეხება მათს თანამშრომლობას. გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური სისტემები ერთნაირია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის ომი წარმოიშვა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ეკონომიური სისტემები სხვადასხვანაირია, მაგრამ ისინი ერთმანეთს კი არ ეომებოდნენ, არამედ თანამშრომლობდნენ ომის დროს. თუ ორ სხვადასხვა სისტემას შეეძლო ეთანამშრომლნა ომის დროს, რატომ არ შეუძლიათ მათ ითანამშრომლონ მშვიდობიან დროს? რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ თუ თანამშრომლობის სურვილი იქნება, თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელია სხვადასხვა ეკონომიური სისტემების დროს. მაგრამ თუ თანამშრომლობის სურვილი არ არის, ერთნაირი ეკონომიური სისტემების დროსაც კი სახელმწიფოებსა და ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს წაეკიდონ.

**სტასენი** აცხადებს, რომ, რასაკვირველია, თანამშრომლობის სურვილს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ წარსულში, ომამდე ორივე ქვეყანაში გაკეთებულა სხვადასხვა განცხადებანი თანამშრომლობის შეუძლებლობის შესახებ. ომამდე ი. ბ. სტალინი თვითონ აცხადებდა ამას. მაგრამ მას, სტასენს, სურს იცოდეს, მიაჩნია თუ არა ი. ბ. სტალინს, რომ ომის ამბებმა, ფაშისტური ღერძის, ე. ი. გერმანიისა და იაპონიის დამარცხებამ შესცვალა სიტუაცია და ახლა, თუ სურვილი იქნა, შეიძლება ვიქონიოთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის იმედი.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ მას არამცდაარამც არ შეეძლო ეთქვა, რომ ორ სხვადასხვა სისტემას თანამშრომლობა არ შეუძლია. აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ პირველად ლენინმა გამოსთქვა. ლენინი ჩვენი მასწავლებელია, — ამბობს ი. ბ. სტალინი,—ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არასოდეს არ გადაგვიხვევია და არც გადავუხვევთ ლენინის მითითებებს. შესაძლებელია, მან, ი. ბ. სტალინმა, სთქვა, რომ ერთ სისტემას, მაგალითად, კაპიტალისტურს არ სურს თანამშრომლობა, მაგრამ ეს შეეხებოდა თანამშრომლობის სურვილებს და არა შესაძლებლობას. რაც შეეხება თანამშრომლობის შესაძლებლობას, იგი, ი. ბ. სტალინი, დგას ლენინის თვალსაზრისზე ორ ეკონომიურ სისტემას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობისა და სასურველობის შესახებ. სწორედ ასე, რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხისა და კომუნისტური პარტიის სურვილს ითანამშრომლონ, ასეთი სურვილი მათ აქვთ. უდავოა, ასეთი თანამშრომლობა მხოლოდ სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისათვის.

**სტასენი** უპასუხებს, რომ ეს ცხადია. ის განცხადებანი, რომლებიც მან მოიხსენია, ი. ბ. სტალინმა გააკეთა პარტიის მე-18 ყრილობაზე და პლენუმზე 1937 წელს. ამ განცხადებებში ლაპარაკი იყო „კაპიტალისტურ გარემოცვასა“ და „მონოპოლისტურ და იმპერიალისტურ განვითარებაზე“. ი. ბ. სტალინის დღევანდელი განცხადებიდან იგი, სტასენი, დაასკვნის, რომ ახლა, იაპონიისა და გერმანიის დამარცხების შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა.

**ი. ბ. სტალინი** აცხადებს, რომ კომუნისტური პარტიის არცერთ ყრილობაზე და მისი ცენტრალური კომიტეტის არცერთ პლენუმზე მას, ი. ბ. სტალინს, არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა, რომ ორი სისტემის თანამშრომლობა შეუძლებელია. მან, ი. ბ. სტალინმა, სთქვა, რომ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა და სსრ კავშირზე თავდასხმის საფრთხე. თუ ერთ მხარეს თანამშრომლობა არ სურს, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს თავდასხმის საფრთხე. და, მართლაც, გერმანია, რომელმაც არ ისურვა სსრ კავშირთან თანამშრომლობა, თავს დაესხა სსრ კავშირს. შეეძლო თუ არა სსრ კავშირს გერმანიასთან თანამშრომლობა? დიახ, სსრ კავშირს შეეძლო გერმანიასთან თანამშრომლობა, მაგრამ გერმანელებმა არ ისურვეს თანამშრომლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სსრ კავშირი ისევე ითანამშრომლებდა გერმანიასთან, როგორც ყოველ სხვა ქვეყანასთან. როგორც ხედავთ, ეს შეეხება თანამშრომლობის სურვილს და არა შესაძლებლობას.

უნდა განვასხვავოთ თანამშრომლობის შესაძლებლობა და თანამშრომლობის სურვილი. მუდამ არსებობს თანამშრომლობის შესაძლებლობა, მაგრამ ყოველთვის როდი არის თანამშრომლობის სურვილი. თუ ერთ მხარეს არ სურს თანამშრომლობა, ამის შედეგი იქნება კონფლიქტი, ომი.

**სტასენი** ამბობს, რომ სურვილი ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ მან უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ რუსებს თანამშრომლობის სურვილი აქვთ.

**სტასენი** ამბობს, რომ მას ახარებს ამის მოსმენა და რომ მას სურს შეეხოს ი. ბ. სტალინის განცხადებას იმის თა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## რესპუბლიკაში გავრცელებულია 534.104.000 მანეთის სესხი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის გავრცელება საქართველოში კვლავ დიდი წარმატებით გრძელდება. 8 მაისს საღამოს 8 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხამ გადააჭარბა 534.104.000 მანეთს, რაც გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 109 პროცენტს უდრის.

რესპუბლიკის ქალაქებში (მუშებსა, მოსამსახურეებსა, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მშრომელ ინტელიგენციაში) ახალი სესხი გავრცელებულია 295.049.000 მანეთის რაოდენობით, რაც ნავარაუდევ თანხას 11,3 პროცენტით აღემატება. ამ თანხიდან ნაღდადაა შეტანილი სალაროებში ობლიგაციების გამოსასყიდად 1.098.000 მანეთი.

სოფლად სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენს 239.055.000 მანეთს (ნავარაუდევი თანხის 106,2 პროცენტს). აქედან კოლმეურნეებს ნაღდად აქვთ შეტანილი 232.446.000 მანეთი (ხელმოწერილი თანხის 97,2 პროცენტი), რაც კოლმეურნეებს შორის გასავრცელებლად ნავარაუდევ თანხას 7.446.000 მანეთით აღემატება.

სოფლად სესხზე ხელმოწერის თანხა მთლიანად დაჭფარეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის 50 რაიონის კოლმეურნეებმა.

## თბილისში სესხზე ხელმოწერის თანხამ 121.218.000 მანეთს მიაღწია

8 მაისს საღამოსათვის საქართველოს დედაქალაქის—თბილისის მშრომელებს შორის ახალი სესხი გავრცელებული იყო 121.218.000 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად გასავრცელებლად გათვალისწინებული 107.000.000 მანეთისა.

დედაქალაქის რაიონებს შორის ახალი სესხი გავრცელებულია: ლენინის რაიონში 11,3 პროცენტის, სტალინის—22,3, მოლოტოვის—16,5, ბერიას — 10,7, კიროვის—16,4, ორჯონიკიძის — 12,1 და 26 კომისრის რაიონში 13,2 პროცენტის გადაჭარბებით

ახალი სესხის გავრცელებაში მონაწილეობა მიიღო მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და ინტელიგენციის საერთო რაოდენობის 99,8 პროცენტმა, ხოლო მათ მიერ ხელმოწერილი თანხა აღწევს 120.194.000 მანეთს.

დიასახლისებმა ხელი მოაწერეს 886.000 მანეთის სესხზე, ხოლო სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერებმა — 138.000 მანეთის სესხზე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

იაპონიაზე გამარჯვების დღის—3 სექტემბრის არასამუშაო დღედ გამოცხადების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 2 სექტემბრის ბრძანებულების შესაცვლელად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 3 სექტემბერი—იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაული — ჩაითვალოს სამუშაო დღედ.

# ჩანაწერი ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1947 წლის 9 აპრილის საუბრისა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის მოღვაწე ჰაროლდ სტასენთან

(დასასრული)

ობაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ეკონომიური სისტემები ერთნაირია. მან უნდა სთქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ეკონომიური სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, როცა გერმანიამ ომი დაიწყო.

**ი. ბ. სტალინი** არ ეთანხმება ამას და ამბობს, რომ არსებობდა განსხვავება ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის რეჟიმებს შორის, მაგრამ არ იყო განსხვავება ეკონომიურ სისტემებს შორის. რეჟიმი დროებითი, პოლიტიკური ფაქტორია.

**სტასენი** ამბობს, ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური სისტემა წარმოშობს მონოპოლიის, იმპერიალიზმისა და მუშათა ჩაგვრის ბოროტებას. მისი, სტასენის, აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხერხდა კაპიტალიზმის მონოპოლისტური და იმპერიალისტური ტენდენციების განვითარების თავიდან აცილება, ამასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშები გაცილებით უფრო მეტად სარგებლობდნენ ხმის უფლებით, ვიდრე ამის ფიქრი შეეძლოთ მარქსსა და ენგელსს. ეს არის განსხვავება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ სისტემასა და იმ სისტემას შორის, რომელიც გერმანიაში ჰიტლერის დროს არსებობდა.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ არ უნდა გაგვიტაცოს ერთმანეთის სისტემების კრიტიკამ. ყოველი ხალხი იმ სისტემას იცავს, რომლის დაცვაც მას სურს და შეუძლია. ისტორია დაგვანახვებს, თუ რომელი სისტემაა უკეთესი. პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ ხალხის მიერ არჩეულ და მოწონებულ სისტემებს. ცუდია თუ კარგი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს ამერიკელი ხალხის საქმეა. თანამშრომლობისათვის საჭირო არ არის, რომ ხალხებს ერთნაირი სისტემები ჰქონდეთ. საჭიროა პატივს ვცემდეთ ხალხის მიერ მოწონებულ სისტემებს. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება თანამშრომლობა.

რაც შეეხება მარქსსა და ენგელსს, მათ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ წინასწარ დაენახათ, თუ რა მოხდებოდა მათი სიკვდილის 40 წლის შემდეგ.

საბჭოთა სისტემას ტოტალიტარულს ან დიქტატორულს უწოდებენ, საბჭოთა ადამიანები კი ამერიკულ სისტემას მონოპოლისტურ კაპიტალიზმს უწოდებენ. თუ ორივე მხარე ერთმანეთს დაუწყებს ლანძღვას და წამოსძახებს მონოპოლისტობასა და ტოტალიტარისტობას, თანამშრომლობა არ გამოვა. უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული ფაქტი, რომ არსებობს ხალხის მიერ მოწონებული ორი სისტემა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება თანამშრომლობა.

რაც შეეხება მონოპოლიისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ კრიტიკით გატაცებას, ეს პროპაგანდაა, ხოლო იგი, ი. ბ. სტალინი, პროპაგანდისტი კი არ არის, არამედ საქმის კაცია. ჩვენ სექტანტები არ უნდა ვიყოთ, ამბობს ი. ბ. სტალინი. როცა ხალხი მოისურვებს სისტემის შეცვლას, იგი ამას გააკეთებს. როცა იგი, ი. ბ. სტალინი, რუზველტს ხვდებოდა და ომის საკითხებს იხილავდა, იგი და რუზველტი მონოპოლისტებსა და ტოტალიტარისტებს როდი ეძახდნენ ერთმანეთს. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ მან და რუზველტმა ურთიერთთანამშრომლობა დაამყარეს და მტერზე გამარჯვებას მიაღწიეს.

**სტასენი** ამბობს, რომ ომის დამთავრების შემდეგ ორივე მხრიდან წარმოებული ამგვარი კრიტიკა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია გაუგებრობანი. მას, სტასენს, სურს იცოდეს, იმედი აქვს თუ არა ი. ბ. სტალინს, რომ მომავალში მოხდება იდეების, სტუდენტების, მასწავლებლების, მსახიობების, ტურისტების უფრო ფართო გაცვლა-გამოცვლა იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობა დამყარდება.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ ეს გარდუვალი იქნება, თუ თანამშრომლობა დამყარდება. საქონლის გაცვლა-გამოცვლას ადამიანთა გაცვლა-გამოცვლა მოსდევს.

**სტასენი** ამბობს, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარსულში თავს იჩენდა გაუგებრობანი იმის გამო, რომ საბჭოთა მხარეს იდეების გაცვლა-გამოცვლის სურვილი არ ჰქონდა, რაც გამოიხატა მოსკოვიდან უცხოელი კორესპონდენტების ცნობებზე ცენზურის შემოღებით. მაგალითად, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნისათვის“ უარის თქმა ნებართვაზე—ჰყოლოდა თავისი კორესპონდენტი მოსკოვში—იყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის ურთიერთგაგების არარსებობის ერთ-ერთი მიზეზი.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევა მართლაც იყო, მაგრამ ეს გაუგებრობა შემთხვევითი მოვლენაა, იგი დაკავშირებული არ არის საბჭოთა მთავრობის პოლიტიკასთან. მან, ი. ბ. სტალინმა, იცის, რომ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სოლიდური გაზეთია. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ამერიკის კორესპონდენტთა ნაწილი ცუდად არის განწყობილი სსრ კავშირის მიმართ.

**სტასენი** უპასუხებს, რომ ასეთი კორესპონდენტები მართლაც არიან. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტს მოსკოვში ყოფნის ნება დართეს, მაგრამ მხოლოდ მინისტრების საბჭოს სესიის დროისათვის. ახლა გაზეთი აყენებს მოსკოვში თავისი მუდმივი კორესპონდენტის გაგზავნის საკითხს. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წამყვანი ორგანოა რესპუბლიკელებისა, რომლებსაც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ახლა, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელებმა უმრავლესობა მიიღეს კონგრესში.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს: „ეს სულ ერთია, რადგან ჩვენ დიდ განსხვავებას ვერ ვხედავთ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის“. რაც შეეხება კორესპონდენტების საკითხს, მას, ი. ბ. სტალინს, მოაგონდა ერთი შემთხვევა. თეირანში სამმა სახელმწიფომ ჩაატარა კონფერენცია, რომელზეც მათ კარგი მუშაობა გასწიეს მეგობრულ ატმოსფეროში. ერთმა ამერიკელმა კორესპონდენტმა, რომლის გვარიც მას, ი. ბ. სტალინს, ამჟამად არ ახსოვს, გაგზავნა ცნობა, რომ თეირანის კონფერენციას დაესწრო მარშალი ტიმოშენკო, თუმცა ნამდვილად იგი იქ არ ყოფილა, და რომ მან, ი. ბ. სტალინმა, გაარტყა მარშალ ტიმოშენკოს სადილობისას. მაგრამ ეს უხეში და ცილისმწამებლური მონაჭორია. როგორ გგონიათ? ასეთი კორესპონდენტი უნდა ვაქოთ? სადილზე, რომელზეც თეირანის კონფერენციის მონაწილენი ჩერჩილის დაბადების 69 წლისთავს დღესასწაულობდნენ, იყვნენ ჩერჩილი, ბრუკი, ლეგი და სხვები, 30 კაცამდე, რომლებსაც შეუძლიათ დაამოწმონ, რომ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. მიუხედავად ამისა, ამ კორესპონდენტმა გაზეთს გაუგზავნა თავისი მოჭორილი ცნობა, რაც გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში. განა შეიძლება ასეთ კორესპონდენტს ვენდოთ? ჩვენ, ამბობს ი. ბ. სტალინი, არ გვგონია, რომ ამაში ბრალი მიუძღვის ამერიკის შეერთებულ შტატებს ან მათ პოლიტიკას. მაგრამ ასეთი ინციდენტები ხდება ხოლმე. ეს ცუდ განწყობილებას უქმნის საბჭოთა ადამიანებს.

**სტასენი** ამბობს, რომ, რასაკვირველია, არის კორესპონდენტთა უპასუხისმგებლო მოქმედების მაგალითები. ისინი არასწორ ცნობებს გზავნიან. მაგრამ სხვა კორესპონდენტები ასწორებენ პირველთა შეცდომებს და დროის განმავლობაში ადამიანებმა იციან, თუ რომელ კორესპონდენტს შეიძლება ენდოს კაცი და რომელს არა, და ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანები საქმეში ერკვევიან და დიდი სამხედრო ღონისძიებებისათვის ერთიანდებიან.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ ეს სწორია.

**სტასენი** ამბობს, რომ ყოველთვის, როცა კორესპონდენტი აშკარად წინასწარი განზრახვით სრულიად არასწორ განცხადებას აკეთებს, მისი გაზეთი გაიწვევს მას, და, ამრიგად, ჩვენი გაზეთები შეჰქმნიან თავიანთთვის უნარიან და პატიოსან კორესპონდენტთა კადრებს.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ჯერ ეს კორესპონდენტები სენსაციურ ცნობებს სწერენ, გაზეთები აქვეყნებენ მათ და ფულს აკეთებენ, შემდეგ კი დაითხოვენ ამ კორესპონდენტებს.

**სტასენი** ამბობს, რომ პრესა, ვაჭრობა და კულტურული გაცვლა-გამოცვლა — აი ის სფეროები, რომლებშიც ორმა სისტემამ უნდა ჰპოვოს თავიანთი ურთიერთობის მოგვარების საშუალებანი.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ეს სწორია.

**სტასენი** აცხადებს, რომ, როგორც იგი ფიქრობს, კორესპონდენტთა ცნობებზე ცენზურა რომ არ ყოფილიყო, ეს იქნებოდა ყველაზე კარგი საფუძველი ჩვენი ხალხების თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისათვის, ვიდრე რაიმე სხვა საფუძველი.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ სსრ კავშირში ძნელი იქნება უცენზუროდ იოლად წასვლა. მოლოტოვმა რამდენჯერმე სცადა ამის გაკეთება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ყოველთვის, როცა საბჭოთა მთავრობა ცენზურას აუქმებდა, მას ეს სანანებლად უხდებოდა და იძულებული იყო იგი კვლავ შემოეღო. შარშანწინ შემოდგომაზე სსრ კავშირში ცენზურა გაუქმდა. იგი, ი. ბ. სტალინი, შვებულებაში იყო, და კორესპონდენტებმა დაიწყეს წერა, რომ მოლოტოვმა აიძულა სტალინი შვებულებაში წასულიყო, შემდეგ კი მათ დაიწყეს წერა, იგი, ი. ბ. სტალინი, დაბრუნდება და მოლოტოვს გააგდებსო. ამრიგად, ამ კორესპონდენტებს საბჭოთა მთავრობა თავისებურ სამხეცედ გამოჰყავდათ. რასაკვირველია, საბჭოთა ადამიანები აღშფოთდნენ და კვლავ უნდა შემოეღოთ ცენზურა.

**სტასენი** ამბობს, რომ როგორც მას ახლა ესმის, ი. ბ. სტალინს თანამშრომლობა შესაძლებლად მიაჩნია, თუ თანამშრომლობის ნება-სურვილი იქნება.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ ეს სრული სიმართლეა.

**სტასენი** ამბობს, რომ საარსებო დონის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას, ხოლო ატომის ენერგიის მრეწველობაში გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხისათვის, მათ შორის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებისათვის. მისი, სტასენის, აზრით, ატომის ენერგიის ინსპექტირებისა და კონტროლის სისტემის შექმნისა და ომის მიზნით მისი გამოყენების კანონგარეშედ გამოცხადების საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. მიაჩნია თუ არა ი. ბ. სტალინს, რომ არსებობს მომავალში ატომის ენერგიის წარმოების კონტროლისა და რეგულირების და მისი მშვიდობიანი გამოყენების შესახებ შეთანხმების შემუშავების პერსპექტივები.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ მას ამის იმედი აქვს. სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიდი უთანხმოებაა ამ საკითხში, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, როგორც მას, ი. ბ. სტალინს, იმედი აქვს, ორივე მხარე გაუგებს ერთმანეთს. მისი, ი. ბ. სტალინის, აზრით, დაწესდება საერთაშორისო კონტროლი და ინსპექტირება და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. ატომის ენერგიის სამშვიდობო მიზნებისათვის გამოყენება დიდ გადატრიალებას მოახდენს საწარმოო პროცესებში. რაც შეეხება ომის მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებას, ეს, ალბათ, აკრძალული იქნება. ამას მოითხოვს ხალხთა სურვილი და სინდისი.

**სტასენი** ამბობს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა. თუ იგი გადაწყდა, ატომის ენერგია უდიდესი სიკეთე გახდება მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, თუ არა და, იგი უდიდესი ბოროტება იქნება.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ, მისი აზრით, მოხერხდება დაწესდეს საერთაშორისო ინსპექტირება და კონტროლი. საქმე აქეთკენ მიდის.

**სტასენი** მადლობას უხდის ი. ბ. სტალინს საუბრისათვის.

**ი. ბ. სტალინი** უპასუხებს, რომ იგი სტასენის განკარგულებაშია და რომ რუსები პატივს სცემენ თავიანთ სტუმრებს.

**სტასენი** ამბობს, რომ იგი არაოფიციალურად ესაუბრა მოლოტოვს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე. ეს საუბარი დამთავრდა მისი რუსეთში მიწვევით.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ, მისი აზრით, ევროპაში ახლა ძალიან ცუდი მდგომარეობაა. რას ფიქრობს ამაზე ბ-ნი სტასენი?

**სტასენი** უპასუხებს, რომ საერთოდ ეს სწორია. მაგრამ არის ზოგიერთი ქვეყნები, რომლებიც ომისაგან არ დაზარალებულან და რომლებიც არც იმდენად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია პატარა ქვეყნებია.

**სტასენი** ამბობს, რომ დიდი ქვეყნები ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეკონომიური პრობლემები, რომლებიც მათ წინაშე დგას, ფინანსების, ნედლეულისა და სურსათის პრობლემებია.

**ი. ბ. სტალინი** აცხადებს, რომ ევროპა მსოფლიოს ისეთი ნაწილია, სადაც მრავალი ფაბრიკა და ქარხანაა, მაგრამ იგრძნობა ნედლეულისა და სურსათის ნაკლებობა. ამაშია ტრაგედია.

**სტასენი** ამბობს, რომ რურში ქვანახშირის მოპოვების დაბალმა დონემ გამოიწვია ქვანახშირის ნაკლებობა ევროპაში.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ინგლისშიც იგრძნობა ქვანახშირის ნაკლებობა და რომ ეს მეტად უცნაურია.

**სტასენი** ამბობს, რომ, საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვანახშირის მოპოვება მაღალ დონეზეა. ამერიკის შეერთებული შტატები დღეღამეში იღებენ 2 მილიონ ტონა ბიტუმინოზურ ქვანახშირს. ამის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა აქვთ დიდი რაოდენობით გაიტანონ ქვანახშირი ევროპაში.

**ი. ბ. სტალინი** აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმე ცუდად არ არის. ამერიკა დაცულია ორი ოკეანეთი. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება სუსტი ქვეყანა კანადა, ხოლო სამხრეთით — სუსტი ქვეყანა მექსიკა. შეერთებულ შტატებს შეუძლიათ არ ეშინოდეთ მათი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს 60 წლის განმავლობაში არ უომნიათ და მშვიდობით სარგებლობდნენ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებული შტატების სწრაფ განვითარებას. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა შესდგება ადამიანებისაგან, რომლებიც დიდიხანია განთავისუფლდნენ მეფეებისა და აგრარული არისტოკრატიის ჩაგვრისაგან. ამ გარემოებამ აგრეთვე გააადვილა ამერიკის შეერთებული შტატების სწრაფი განვითარება.

**სტასენი** აცხადებს, რომ მისი პაპა იმპერიალიზმს გაექცა ჩეხოსლოვაკიიდან. რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფიული მდებარეობა დიდი დახმარება იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, ამბობს სტასენი. მტერი დამარცხებულ იქნა შორს ჩვენი სანაპიროებიდან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესძლეს რეკონვერსიის ჩატარება და ომის დამთავრების შემდეგ წარმოების ფართო მასშტაბით განახლება. ახლა ამოცანა ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ დეპრესია და ეკონომიური კრიზისი.

**ი. ბ. სტალინი** ეკითხება, მოსალოდნელია თუ არა ეკონომიური კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში?

**სტასენი** უპასუხებს, რომ იგი არ მოელის ეკონომიურ კრიზისს. მას, სტასენს, სწამს, რომ შეიძლება კაპიტალიზმის რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში და მუშაობაში ჩაბმის მაღალ დონეზე სტაბილიზება, ამასთან რაიმე სერიოზული კრიზისის თავიდან აცილება. მაგრამ მთავარი ამოცანა ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ კრიზისი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ სისტემაში. მაგრამ თუ მთავრობა ბრძნულ პოლიტიკას გაატარებს და თუ გათვალისწინებული იქნება 1929-1930 წლების გაკვეთილები, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებული იქნება მოწესრიგებული და არა მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რაც შესაძლებელს გახდის კრიზისის თავიდან აცილებას.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ამისათვის საჭიროა ძალიან ძლიერი და დიდი სიმტკიცით აღსავსე მთავრობა.

**სტასენი** ამბობს, რომ ეს სწორია და რომ, გარდა ამისა, ხალხმა უნდა მიიღოს ეკონომიური სისტემის სტაბილიზაციისა და ხელშეწყობისაკენ მიმართული ზომები. ეს ახალი ამოცანაა, ვინაიდან მსოფლიოს ეკონომიურ სისტემებში ამის პარალელები არ ყოფილა.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ არსებობს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ხელსაყრელი ერთი პირობა, რაც იმ ფაქტით გამოიხატება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ორი კონკურენტი მსოფლიო ბაზრებზე — იაპონია და გერმანია — მოცილებულია. ამის შედეგად ამერიკულ საქონელზე მოთხოვნილება იზრდება და ეს ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებისათვის. ისეთი ბაზრები, როგორიცაა ევროპა, ჩინეთი და იაპონია, ღიაა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ეს დაეხმარება ამერიკის შეერთებულ შტატებს. ასეთი პირობები წინათ არასოდეს ყოფილა.

**სტასენი** ამბობს, რომ, მეორე მხრივ, ამ ბაზრებზე არ არის სახსრები ანაზღაურებისათვის და ეს ბაზრები, ამრიგად, წარმოადგენენ ტვირთს და არა ხელსაყრელ ბიზნესს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, გერმანიისა და იაპონიის, იმპერიალისტური საფრთხის ამ ორი მატარებლის, მოცილება დიდი სიკეთეა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და სხვა ქვეყნებისათვის მშვიდობის თვალსაზრისით. რასაკვირველია, მსოფლიო ვაჭრობა წარსულში არ ყოფილა ისეთი ფაქტორი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრები შეზღუდული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებით ან დასავლეთი ნახევარსფეროს ფარგლებით.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ომამდე ამერიკის წარმოების დაახლოებით 10 პროცენტი სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ. რაც შეეხება სყიდვითს უნარიანობას, იგი, ი. ბ. სტალინი, ფიქრობს, რომ ვაჭრები გამონახავენ სახსრებს, იყიდიან ამერიკულ საქონელს და ამ საქონელს მიჰყიდიან გლეხებს თავიანთ ქვეყნებში. ჩინეთის, იაპონიის, ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ვაჭრებმა ფული დააგროვეს. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი გადიდდება, შესაძლოა, 20 პროცენტამდე. სწორია თუ არა ეს?

**სტასენი** ამბობს, რომ იგი ამას არ ფიქრობს.

**ი. ბ. სტალინი** ეკითხება: „სერიოზულად?“

**სტასენი** დადებითად უპასუხებს და ამბობს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი 15 პროცენტამდე გადიდდა, იგი ჩასთვლის, რომ შეერთებულ შტატებს ბედმა გაუღიმა. ვაჭრების უმრავლესობამ დააგროვა ადგილობრივი ვალუტა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ბლოკირებულია და ტრანსფერტისათვის გამოუსადეგარია. ამრიგად, მისი, სტასენის, შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი 15 პროცენტს არ გადააჭარბებს.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების მოცულობას, მაშინ 15 პროცენტი პატარა ციფრი როდი იქნება.

**სტასენი** ამას ეთანხმება.

**ი. ბ. სტალინი** აცხადებს, რომ, როგორც ამბობენ, ამერიკის მრეწველობას ამჟამად მრავალი დაკვეთა აქვს. სწორია თუ არა ეს? ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ქარხნები ვერ ასწრებენ ამ დაკვეთების შესრულებას და რომ ყველა ქარხანა დატვირთულია 100 პროცენტით. სწორია თუ არა ეს?

**სტასენი** უპასუხებს, რომ ეს სწორია, მაგრამ ეს დაკვეთები საშინაო ხასიათისაა.

**ი. ბ. სტალინი** შენიშნავს, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანია.

**სტასენი** ამბობს, რომ ხერხდება სურსათის, ქალის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ დაზგების, ავტომობილების, ორთქლმავლების წარმოება ჩამორჩება.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ამერიკულ პრესაში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ მალე დადგება ეკონომიური კრიზისი.

**სტასენი** ამბობს, რომ პრესაში იყო ცნობები იმის შესახებ, რომ გასული წლის ნოემბერში უმუშევართა რიცხვს ამერიკის შეერთებულ შტატებში 8 მილიონამდე უნდა მიეღწია. მაგრამ ეს ცნობები სწორი არ აღმოჩნდა. ამოცანა ის არის, რომ მოვახდინოთ წარმოების მაღალი დონის ნიველირება, მივაღწიოთ სტაბილიზაციას და თავიდან ავიცილოთ ეკონომიური კრიზისი.

**ი. ბ. სტალინი** შენიშნავს, რომ სტასენს, ალბათ, მხედველობაში აქვს წარმოების რეგულირება.

**სტასენი** უპასუხებს, რომ ეს სწორია და ამბობს, რომ ამერიკაში არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იქნება დეპრესია. მაგრამ იგი, სტასენი, უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამტკიცებს, რომ ამერიკელები შესძლებენ დეპრესიის თავიდან აცილებას, ვინაიდან მას, სტასენს, შეუძლია აღნიშნოს, რომ ადამიანებს ახლა უფრო ღრმად ესმით რეგულირება, ვიდრე წინათ.

**ი. ბ. სტალინი** ეკითხება: „ხოლო საქმის კაცები? მოისურვებენ თუ არა ისინი, რომ მათ რეგულირება გაუწიონ და შეზღუდონ?“

**სტასენი** ამბობს, რომ საქმის კაცები ჩვეულებრივ ამის წინააღმდეგი არიან.

**ი. ბ. სტალინი** შენიშნავს, რომ ისინი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იქნებიან.

**სტასენი** ამბობს, რომ მათ ესმით, რომ 1929 წლის დეპრესია აღარ უნდა განმეორდეს, და მათ ახლა უკეთ ესმით რეგულირების საჭიროება. რასაკვირველია, საჭიროა რეგულირების მაღალი ხარისხი, გადაწყვეტილებათა დიდი რაოდენობა და შემდეგ მთავრობის გონივრული მოქმედება.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ეს სწორია.

**სტასენი** აცხადებს, რომ ეს საჭიროა მმართველობის ყველა სისტემისა და ფორმის დროს. თუ შეცდომებს სჩადიან მმართველობის ყოველგვარი ფორმის დროს, ეს ცუდია ხალხისათვის.

**ი. ბ. სტალინი** ეთანხმება ამას.

**სტასენი** ამბობს, რომ იაპონიამ და გერმანიამ ეს ცხადჰყვეს.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკას მართავდნენ სამხედრო ადამიანები, რომლებსაც ეკონომიკისა არაფერი ესმოდათ. მაგალითად, იაპონიაში ეკონომიკას ხელმძღვანელობდა ტოძიო, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, თუ როგორ ეომნა.

**სტასენი** ამბობს, რომ ეს სწორია. იგი, სტასენი, მადლობელია ი. ბ. სტალინისა, რომ შესაძლებლობა მიეცა ესაუბრნა ი. ბ. სტალინთან, მადლობელია იმ დროისათვის, რაც მას ი. ბ. სტალინმა დაუთმო.

**ი. ბ. სტალინი** ეკითხება, რამდენ ხანს ფიქრობს სტასენი სსრ კავშირში დარჩენას.

**სტასენი** უპასუხებს, რომ ხვალ მას უნდა კიევს წასვლა, ხოლო შემდეგ სურს თავისი პატივისცემა გამოუცხადოს სტალინგრადის მამაც დამცველებს და მერმე ფიქრობს გაემგზავროს სსრ კავშირიდან ლენინგრადით. სტალინგრადის დაცვის დროს იგი, სტასენი, იმყოფებოდა ამერიკის ფლოტში წყნარ ოკეანეზე, სადაც დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სტალინგრადის ეპოპეას.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ადმირალი ნიმიცი, როგორც სჩანს, ძალიან დიდი სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელია.

**ი. ბ. სტალინი** ეკითხება, იყო თუ არა სტასენი ლენინგრადში?

**სტასენი** ამბობს, რომ ლენინგრადში იგი ჯერ არ ყოფილა და რომ იგი ფიქრობს სსრ კავშირიდან გაემგზავროს ლენინგრადით.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ მან ძალიან ბევრი რამ მიიღო სტასენთან საუბრით.

**სტასენი** ამბობს, რომ მან ი. ბ. სტალინთან საუბრით აგრეთვე ბევრი რამ სასარგებლო მიიღო თავისი მუშაობისათვის ეკონომიური პრობლემების შესწავლის დარგში.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ ომამდე ისიც ბევრს მუშაობდა ეკონომიურ პრობლემებზე და რომ სამხედრო პირად აუცილებლობის გამო გახდა.

**სტასენი** ეკითხება, შეუძლია თუ არა მას მიიღოს საუბრის ჩანაწერი, რომელიც პავლოვმა გააკეთა, და შეუძლია თუ არა მას, სტასენს, მიიღოს ნებართვა ელაპარაკოს კორესპონდენტებს, როცა მათ ნახავს, ამ საუბრის შესახებ.

**ი. ბ. სტალინი** ამბობს, რომ სტასენს შეუძლია მიიღოს საუბრის ჩანაწერი და რომ სტასენს, რასაკვირველია, შეუძლია ელაპარაკოს კორესპონდენტებს საუბრის შესახებ, ვინაიდან აქ დასამალავი არაფერია.

**შენიშვნა:** ი. ბ. სტალინისა და ჰ. სტასენის საუბრის ჩანაწერის ეს ტექსტი გადაეცა ბ-ნ სტასენს მოსკოვში, ამასთან სტასენის მიერ გამოთქმული აზრების ტექსტი მოწონებულ იქნა სტასენის მიერ, ხოლო ი. ბ. სტალინის მიერ გამოთქმული აზრების ტექსტი მოწონებულ იქნა სტალინის მიერ.

მიუხედავად ამისა, ამერიკული პრესის მიერ გამოქვეყნებულ საუბრის ტექსტში დაშვებულია მთელი რიგი თვითნებური ცვლილებები და არასიზუსტენი.

---

გიორგი ლეონიძე

## გამარჯვებული

დედის მონაქსოვ ლეგა ჩოხაში,
მკაცრი ღიმილით, სახე-ურჩული,
ზის დიდ ნიგვზის ქვეშ, სანიავოზე,
ზარბაზნის ბოლში გამორუჯული,

და გადაჰყურებს დაცემულ მინდორს,
ესმის ვაზების ფურცლის ჩურჩული...
ყანის შრიალი... და რასაც მღერის,
მდინარის ზოლი გადალურჯული...

ამ წყლის კიდეზე, ამ ტირიფებს ქვეშ,
მან გაატარა ყრმობა ჯეირნის,
მან, ამ პატარა წყალზე აღზრდილმა,
განვლო დუნაი, განვლო რეინი...

მან ზღვები ნახა და ოკეანე..
ვიწრო ორღობის გზიდან გასული, —
ბერლინის შტურმზე გადადიოდა,
შუბლშესისხლული და დაძაბული...

ნახა ქვეყნები და ქალაქები,
ნახა ბაღნარი და ნაბაღარი...
მბრძოლი სტალინის დიდი დროშის
ქვეშ,
ახლა მეზვრეა, ვენახს დახარის...

ნაამაგდარი მამულის მიწის
სითბო გაუჯდა გულშემპარავად...
მზერა მოავლო მშობლიურ სივრცეს
უეცრივ თვალში ეპატარავა!

მეტი მოუნდა საქმე ფრთიანი,
და შრომაც მეტი, ოფლით ნაწვიმი.
ცას შეჰკრა თვალი და დაინახა,
როგორ მიჰქროდა ცაში არწივი, —

ფრთებს რომ გაჰშლიდა მხრების
ტყლაშუნით
და ისევ მკერდზე შემოიკრეფდა...
ის ახლა თვალით არწივთან არი...
ნაშასადამე,
მაღალ ფიქრებთან....

---

## საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის შესახებ

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შერეულმა სადემარკაციო კომისიამ, რომელიც შექმნილია სსრ კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ 1945 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულების შესაბამისად, დაამთავრა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია.

30 აპრილს ვარშავაში შერეული კომისიის საბჭოთა დელეგაციამ თავმჯდომარის — მრჩეველ ა. მ. ალექსანდროვისა და წევრების — გენერალ-მაიორ გ. მ. ჩუმაკოვისა და გენერალ-მაიორ ფ. გ. კრასოვსკის შემადგენლობით და პოლონეთის დელეგაციამ თავმჯდომარის — ვიცე-მინისტრ ა. ქარუკ-მიხალსკისა და წევრების — დივიზიის გენერალ ი. ბორძილოვსკისა და პოლკოვნიკ ტ. ნაუმენკოს შემადგენლობით ხელი მოაწერეს ოქმს — საზღვრის ხაზის აღწერას, რუკებს და დემარკაციის სხვა დოკუმენტებს. საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ელჩი ვ. ზ. ლებედევი, მრჩეველი ვ. გ. იაკოვლევი და სხვ., პოლონეთის მხრივ — საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი ს. ლეშჩიცკი, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ტ. ქებროვსკი, ი. ზამბროვიჩი და სხვ.

1946 წლის მაისში დაწყებული სადემარკაციო სამუშაოები ორივე მხარეს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით სწარმოებდა.

---

## საბჭოთა მუსიკოსების მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალში

8 მაისს მოსკოვიდან ჩეხოსლოვაკიაში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე — „პრაღის გაზაფხული“ — გაემგზავრნენ დირიჟორი ე. მრავინსკი, კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი, ვიოლინისტი დ. ოისტრახი და პიანისტი ვ. ოხრონიცკი.

ევგენი მრავინსკი უდირიჟორებს პრაღის ფილარმონიის ორკესტრს, რომელიც შეასრულებს შოსტაკოვიჩის მერვე სიმფონიას. დ. ოისტრახი და ვ. ოხრონიცკი გამოვლენ სამ სიმფონიურ და კამერულ მუსიკის კონცერტში.

ამავე დროს პრაღაში იწყება იან კუბელიკის სახელობის ვიოლინისტთა საერთაშორისო კონკურსი. კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში სსრ კავშირიდან შევიდა პროფესორი დ. ოისტრახი.

ამავე დღეებში პრაღას მოწვეულია კომპოზიტორთა, მუსიკათმცოდნეთა და კრიტიკოსთა საერთაშორისო ყრილობა. საბჭოთა კავშირში მუსიკალური კულტურის განვითარების შესახებ მოხსენებას გააკეთებს კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი. (საკდესი).

# ახალი სესხი წარმატებით ვრცელდება

## კოლმეურნეთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაცია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა წარმატებით გრძელდება. საქართველოს სტახანოველი კოლმეურნეები, მერგოლეები, ბრიგადირები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ნაღდ ფულად იძენენ ახალი სესხის ობლიგაციებს.

**მახარაძის რაიონის** სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველებმა ი. გუჯაბიძემ და ა. მუჯირმა შეიძინეს ახალი სესხის ექვს-ექვსი ათასი მანეთის ობლიგაციები. ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჯაბუამ 12 ათასი მანეთის ობლიგაციები შეიძინა, სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძემ—10 ათასი მანეთისა, სოფელ განახლების კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. კვაჭაძემ—8 ათასი მანეთისა.

**თელავის რაიონის** სოფელ რუისპირის ქუკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მ. ბახსოლიანმა შეიძინა 20 ათასი მანეთის ობლიგაციები, გ. ლუკაშვილმა—9 ათასი მანეთისა, გ. შაქარაშვილმა და ნ. ჭიკაძემ—8 ათასი მანეთისა თვითეულმა, ტასო დიღმელაშვილმა, ს. ბახსოლიანმა და ა. გულოვანმა—6 ათასი მანეთისა თვითეულმა. ალვანელმა გლეხმა ლ. გაბიდაიძემ შეიძინა 10 ათასი მანეთის ობლიგაციები.

**ყვარლის რაიონის** სოფელ ყვარლის კოლმეურნეობა „ახალი წყაროს“ თავმჯდომარე ა. სეფაშვილმა, კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარე ლ. გელაძემ, სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ცისკარიშვილმა ნაღდად შეიძინეს ხუთ-ხუთი ათასი მანეთის ობლიგაციები.

**აბაშის რაიონის** სოფელ ნაესაკოვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ხარებავამ ნაღდად შეიძინა 10 ათასი მანეთის ობლიგაციები, ამავე კოლმეურნეობის ციტრუსების სანერგის გამგემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. არველაძემ—5 ათასი მანეთისა, ბრიგადირმა მ. ძიძიგურმა—4.800 მანეთისა.

**გაგრის რაიონის** სოფელ სიხარულის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ავქსენტი ღურწკაიამ ნაღდად შეიძინა 20 ათასი მანეთის ობლიგაციები, სტახანოველმა კოლმეურნეებმა ქსენია დანელიამ, ნ. პერტახიამ და ტ. იუნკზბამ—ხუთ-ხუთი ათასი მანეთისა.

**ქარელის რაიონის** ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. მაზმიშვილმა ნაღდად შეიძინა 7 ათასი მანეთის ობლიგაციები, სოფელ ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. უბინაშვილმა—6 ათასი მანეთისა, ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. სადუნაშვილმა—5 ათასი მანეთისა.

**კასპის რაიონის** სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანმა თავმჯდომარემ ა. მაჭარაშვილმა ნაღდად შეიძინა 15 ათასი მანეთის ობლიგაციები, სოფელ ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. ბარნოვმა—10 ათასი მანეთის. რვა-რვა ათას მანეთზე მოაწერეს ხელი კოლმეურნეობა „დამკვრელის“ და „წითელი კოლმეურნის“ თავმჯდომარეებმა ზ. მიქუტიშვილმა და გ. ჯანაშვილმა.

**ბოლნისის რაიონის** სოფელ წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. საიკოვმა ნაღდად შეიძინა 10 ათასი მანეთის ობლიგაციები, სოფელ ბოლნისხაჩინის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე როსტომიანმა—8 ათასი მანეთისა.

**წითელწყაროს რაიონის** სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ქავთარაძემ ნაღდი ფულის შეტანით შეიძინა ახალი სესხის 30.000 მანეთის ობლიგაციები, სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე ფიროსმანიშვილმა, სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ მამაიაშვილმა და სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე სეფიაშვილმა შეიძინეს თითომ 10 ათასი მანეთის ობლიგაციები.

# მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს სესია

7 მაისს შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XVII სესია. სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გოჩაშვილმა.

სესიის სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი მ. ჩუბინიძე, ხოლო მდივნად—დეპუტატი მშვენიერაძე.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სესიის განსახილველად შეიტანა შემდეგი საკითხები: 1. თბილისის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმა; 2. საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გოჩაშვილმა.

— დედაქალაქის მშრომელები, — ამბობს ამხ. გოჩაშვილი, — უდიდესი ენტუზიაზმით ახორციელებენ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მითითებას—გადავაქციოთ თბილისი სანიმუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქად.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის გაჩაღდა ენერგიული მუშაობა. გასულ წელს — მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს — საქალაქო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 22.155 ათას მანეთს. ეს გაცილებით აღემატება მთელ იმ თანხას, რომელიც სამამულო ომის ხუთი წლის მანძილზე დაიხარჯა თბილისის საქალაქო მეურნეობაზე.

შარშან თბილისის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა 98,6 პროცენტით შესრულდა. თუმცა საქალაქო მეურნეობის ძირითადმა დარგებმა ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ გვქონდა ჩამორჩენილი უბნებიც. გასულ წელს არ შესრულებულა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმა. დროზე ვერ დავამთავრეთ საცხოვრებელი სახლი, რომელიც პლეხანოვის პროსპექტზე შენდება. ქალაქის მოსახლეობა ჯერ კიდევ განიცდის წყლისა და ელექტროენერგიის ნაკლებობას. მრავალ ქუჩას ესაჭიროება რემონტი, მთელ რიგ ადგილებში შეკეთებას საჭიროებს კანალიზაციის ქსელი. მართალია, ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა საერთოდ გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალება, მაგრამ ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ კირისა და გაჯის გამოშვების გეგმების შესრულებაში.

საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმა, რომელიც ამ სესიაზე განსახილველად არის წარმოდგენილი, მთლიანად გამომდინარეობს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმიდან. ამ გეგმის განხორციელებით ჩვენ ახალ ნაბიჯს გადავდგამთ თბილისის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის საქმეში. გეგმის პროექტით მიმდინარე წელს კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა 26.690 ათას მანეთს შეადგენს, რაც 27,7 პროცენტით აღემატება გასულ წელს ფაქტიურად დახარჯულ თანხას. მარტო კომუნალურ მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 17.500 ათასი მანეთი, საბინაო მშენებლობაზე—6 მილიონ 50 ათასი მანეთი და სხვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი თანხები იქნება დახარჯული აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და ქუჩების კაპიტალური შეკეთებისათვის. სულ 1947 წელს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით დაიხარჯება 85.746 ათასი მანეთი.

შემდეგ ამხ. გოჩაშვილი ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც გეგმა ითვალისწინებს წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტრომეურნეობის, ქალაქის ტრანსპორტის, ხიდების, ქუჩების მშენებლობისა და საერთოდ ქალაქის მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესება-განვითარების დარგში.

— თბილისის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმის შესრულება,—ამბობს შემდეგ ამხ. გოჩაშვილი,—მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებების, სამმართველოებისა და ტრესტების მუშაობაზე. საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებები ვალდებული არიან სისტემატური ტექნიკური კონტროლი გაუწიონ მშენებლობის გეგმების შესრულებას, მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ყველა მშენებლობა უზრუნველჰყონ საჭირო პროექტით, ხარჯთაღრიცხვით, საშენი მასალითა და მოწყობილობით.

საქალაქო საბჭოს თვითეული დეპუტატის, აქტივისტის, ყველა მუშაკის გადაუდებელი ამოცანაა ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით იბრძოლოს თბილისის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამხ. გოჩაშვილის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ა. თევზაძემ, გ. ლუარსაბოვმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგემ დ. ნოსელიძემ, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. ჩიკვაიძემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ბ. დანელიანმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ ა. ჩიტაიშვილმა და დეპუტატებმა თ. ქუთათელაძემ და გ. ბეჟანიშვილმა.

სესიამ მოსმენილი საკითხის გამო მიიღო დადგენილება.

დასასრულ განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები.

# გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი  ხ ა ლ ხ ი

მალე საბჭოთა სახელმწიფოს ოცდაათი წელი შეუსრულდება. ოცდაათი წელი შესრულდება იმ დიადი დღიდან, როცა „ავრორის“ ზარბაზნებმა კაცობრიობის ახალი ხანის — სოციალიზმის ხანის დაწყება გვამცნეს. საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე ჩვენი ქვეყანა ისეთი ტემპებით მიდის წინ, როცა ზოგი დღე წელიწადს უდრის, ხოლო წელიწადი — ათ წელიწადს. ომისწინა ცამეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ისეთი გზა გაიარა, რომელსაც მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ორმოცდაათი და ასი წელიც კი დასჭირებია: სამი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა, ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ, ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს გამარჯვებას 1941-1945 წლების სამამულო ომში.

1917 წლის 7 ნოემბრის დღე საუკუნეებში შევიდა როგორც კაპიტალიზმზე პროლეტარიატის გამარჯვების დღე, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღე.

1945 წლის 9 მაისის დღე საუკუნეებში შევიდა როგორც კაცობრიობის უბოროტეს მტერზე სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვების დღე. გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ მძიმე ოთხწლიან ომში საბჭოთა კავშირმა დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჰიტლერული დამონებისაგან იხსნა მსოფლიო. საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვება არის გამარჯვება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა, რომელმაც მთელი თავისი ნახევარი საუკუნის გმირული მოღვაწეობით მოამზადა ჩვენი სამშობლო კაცობრიობის ავანგარდში გამოსასვლელად.

* * *

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს რომ ვდღესასწაულობთ, არ გვავიწყდება, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მონებად გადაქცევას გვიპირებდნენ, ხოლო საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობას. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი შრომა გასწია და მსხვერპლი გაიღო საბჭოთა ხალხმა, რათა ეხსნა თავი ამ ხვედრისაგან.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი სამშობლოს იმ ერთგული შვილების ხსოვნას, რომლებმაც თავი დასდეს სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. ჯერ ჭრილობები არ მოშუშებიათ სამამულო ომის ვეტერანებს, არ გამქრალა იმ ადამიანთა ტანჯვა, რომლებმაც ფაშისტური ჩაგვრა გამოსცადეს. განა შეიძლება იმის დავიწყება, თუ როგორ ჰქმნიდნენ ფაშისტი ვანდალები მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე უდაბნოს ზონას, აბუჩად იგდებდნენ ტყვეებს, ხვრეტდნენ და ახრჩობდნენ მოხუცებსა და ბავშვებს, სწვავდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს, სპობდნენ მსოფლიო კულტურის წმიდა რელიქვიებს! „ჩვენ შენა არ გვესაჭიროება, დავწვავთ ყველაფერს, რაც დაკავშირებულია თქვენი ტოლსტოის სახელთან“, — ამბობდნენ ფაშისტი მნგრეველები და სპობდნენ ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო ისეთი გენიოსების ხსოვნასთან, როგორიც იყვნენ ტოლსტოი, პუშკინი, ჩაიკოვსკი, რიმსკი-კორსაკოვი, ჩეხოვი, ტარას შევჩენკო.

როგორ შეიძლება დავივიწყოთ მოკლულთა გამოფენა ლვოვის პასაჟის შენობაში 1941 წლის 30 ივნისს! „სახლების კედლებთან ელაგა დასახიჩრებული გვამები, უმთავრესად ქალებისა. ამ შემაძრწუნებელი „გამოფენის“ პირველ ადგილზე დადებული იყო ქალის გვამი, რომელზეც ხიშტით მიკრული იყო ამ ქალის ბავშვი“.

ან კიდევ ფაშისტების მიერ დანგრეული 31.850 საბჭოთა სამრეწველო საწარმო! მათ მიერ აოხრებული და გაძარცული 98 ათასი კოლმეურნეობა! 1.710 გადაბუგული და აფეთქებული ქალაქი! ათეული ათასობით მოსპობილი სკოლა, ტექნიკუმი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო!

ვინ მოსთვლის ადამიანთა მთელ მწუხარებას, მთელ ცრემლებს, რა დაგვავიწყებს ომში დაღუპულ შვიდ მილიონ საბჭოთა ადამიანს, ჯერ კიდევ გადახდილი არ არის ომით გამოწვეული მატერიალური ზარალი ჩვენი სამართლიანი ანგარიშის მიხედვით. მაგრამ სხვა სახელმწიფოებში უკვე მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც სურთ ყოველივე ეს ამოშალონ კაცობრიობის მეხსიერებაში.

მაგრამ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა მშვენივრად იციან, რომ **სწორედ საბჭოთა კავშირმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ფაშისტური გერმანიის განადგურებაში და ფაშისტური ბარბაროსობისაგან კაცობრიობის ხსნაში.**

* * *

მეორე მსოფლიო ომი მოამზადეს საერთაშორისო რეაქციის ძალებმა და გააჩაღა ჰიტლერულმა გერმანიამ. ფაშიზმის მეთაურებთან ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების მიერ მიუნხენში დადებულმა შეთანხმებამ ხებაზე მიუშვა ჰიტლერული გერმანია.

ჯერ ავსტრია, შემდეგ ჩეხოსლოვაკია, მერმე პოლონეთი, მას შემდეგ დანია, ნორვეგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ბელგია რიგრიგობით დაიპყრეს გერმანიის ფაშიზმის შეიარაღებულმა ძალებმა და ჰიტლერული გერმანიის კოლონიებად გადააქციეს. საფრანგეთის არმიამ, რომელიც პირველხარისხოვან არმიად იყო მიჩნეული, სულ ორმოცდაათს დღეს გაუძლო გერმანიას. ინგლისის არმია, რომელიც საფრანგეთის დასახმარებლად მიემგზავრებოდა, დაიგვიანა და 1940 წლის მაისის ბოლოს — ივნისის დამდეგს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დიუნკერკის რაიონში. ინგლისელთა ოსტატობამ ევაკუაციის საკითხებში იხსნა ინგლისის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი, — ისინი, თუმცა დანაკლისით, მაგრამ მაინც დააბრუნეს ინგლისში ლა-მანშით.

1941 წლის გაზაფხულისათვის გერმანია-იტალიის ფაშიზმი თარეშობდა მთელ დასავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

ამრიგად, საბჭოთა კავშირზე მუხანათური თავდასხმის დროისათვის ფაშისტურ გერმანიას ფაქტიურად დამონებული ჰყავდა ევროპის ყველა ქვეყანა და მომზადებული ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალები და თავისი სატელიტების შეიარაღებული ძალები საბჭოთა ტერიტორიაზე შემოჭრისათვის.

ნიურნბერგში შემდგარი მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესიდან ცნობილია, რომ სსრ კავშირზე თავდასხმის გეგმა („ბარბაროსას გეგმა“) ფაშისტებმა შეადგინეს საფრანგეთის დაცემისა და დიუნკერკის ამბების პერიოდში. „ბარბაროსას გეგმით“ ნავარაუდევი იყო, რომ ჰიტლერელთა ჯარები უეცარი დარტყმით დაამარცხებდნენ წითელ არმიას და 4-5 თვის განმავლობაში დაამთავრებდნენ კამპანიას საბჭოთა კავშირში. ფაშისტთა ჯარების გამოსვლა ასტრახან-ვოლგა-არხანგელსკის ხაზზე საბჭოთა სახელმწიფოს დაპყრობის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო.

ასეთი იყო გეგმები...

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა ხალხი პირისპირ აღმოჩნდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების თავით ფეხამდე შეიარაღებული იმ არმიების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში, რომლებისთვისაც მუშაობდა მთელი ევროპის მრეწველობა.

არა მარტო გებელსის პროპაგანდა, არამედ უცხო სახელმწიფოთა პრესის მნიშვნელოვანი ნაწილიც, მათ შორის ჩვენი მოკავშირე ქვეყნებისაც, საქვეყნოდ გაჰკიოდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს „ბოლო მოეღო“, რომ ფაშისტთა ჯარები აგვისტო-სექტემბერში „მოსკოვში იქნებიან“, რომ საბჭოთა არმია „აღარ არსებობს“ და სხვა. ამგვარ ინტერვიუს ხალისით იძლეოდა საზღვარგარეთის მრავალი სამხედრო ავტორიტეტიც.

ომის პირველი ორი წელი ძალიან მძიმე იყო საბჭოთა კავშირისათვის. უახლესი ტექნიკით შეიარაღებულმა მრავალმილიონიანმა ფაშისტთა არმიამ, ისარგებლა რა თავდასხმის უეცრობით და ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობით, დაიპყრო საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ძალები მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად არათუ გამოიფიტა, არამედ, პირიქით, იზრდებოდა. ბოლშევიკების პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა მთელი ხალხი დარაზმეს საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. თვითეული საბჭოთა ადამიანი ფრონტზე იბრძოდა იგი, თუ ფრონტისათვის ზურგში შრომობდა, გრძნობდა, თუ რა დიადი დაუძლეველი ძალა მიანიჭა ჩვენს სამშობლოს სოციალისტურმა წყობილებამ.

საბჭოთა არმიამ თავისი გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1941 წლის ზამთარში შეაჩერა ფაშისტთა არმიების გააფთრებული შემოტევა სსრ კავშირის დედაქალაქის წინააღმდეგ, გაანადგურა ისინი მოსკოვის ისტორიულ ბრძოლაში და შორს გარეკა დასავლეთისაკენ. მოსკოვთან დასამარებულ იქნა ფაშისტების ოცნება ომის ელვისებურად დამთავრებაზე, მოსკოვის დაპყრობაზე, იოლ გამარჯვებაზე. მოსკოვთან საბჭოთა ჯარებმა გააქარწყლეს მითი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ.

ერთი წლის შემდეგ სტალინგრადთან გერმანელებმა საბჭოთა არმიისაგან საშინელი ძალის დარტყმა იგემეს, რომლის შედეგადაც 300 ათასზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლეტილ ან დატყვევებულ იქნა. ჰიტლერელთა ურდოები, რომლებიც დიდ ზარალს განიცდიდნენ, სტალინგრადიდან და კავკასიიდან გარბოდნენ ხარკოვისაკენ, დნეპროპეტროვსკისა და მარიუპოლისაკენ. ეს გრანდიოზული გამარჯვება საბჭოთა არმიამ მოიპოვა აგრეთვე ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობისას, ე. ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჰიტლერელთა შეიარაღებული ძალების თავისუფალი მანევრის პირობებში.

1943 წლის ზაფხულში კურსკთან გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მორიგი დამარცხება განიცადეს: გერმანელთა კურსკის დაჯგუფების მნიშვნელოვანი ნაწილი მოსპობილ და დატყვევებულ იქნა: მისი ნაშთები დნეპრისაკენ იხევდნენ ჩვენი ჯარების დარტყმების გამო. კურსკის ბრძოლის შემდეგ ჰიტლერელი გენერლები უკვე მხოლოდ „ფრონტის გამოსწორებაზე“, „მიუვალ ზღუდეებზე“, „ელასტიკურ თავდაცვაზე“ და იმაზე ფიქრობდნენ, რომ როგორმე თავიდან აეცდინათ საბჭოთა არმიის მორიგი დარტყმა.

„თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“. (სტალინი).

მეორე ფრონტი ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო. ჰიტლერელთა უმაღლეს სარდლობას, რომელიც ყოველნაირად იყენებდა თავის ამ ხელსაყრელ გარემოებას, მაქსიმუმი ძალები გამოჰყავდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.

დამახასიათებელია ასეთი ციფრები: პირველ მსოფლიო ომში გერმანელებს აღმოსავლეთის ფრონტზე 127 დივიზია ჰყავდათ (აქედან გერმანიისა — 85, ავსტრია-უნგრეთისა — 37, თურქეთისა — 3, ბულგარეთისა—2). 1941 წლის ივნისში გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე გამოიყვანეს 170 გერმანული დივიზია; 1942 წლის სექტემბერში წითელი არმიის წინააღმდეგ უკვე მტრის 240 დივიზია იდგა (აქედან გერმანიისა — 179, გერმანიის სატელიტებისა — 61), 1943 წელს — 257 დივიზია (აქედან გერმანიისა 207).

ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. მაგრამ მთელი 1943 წლისა და 1944 წლის დამდეგის საბრძოლო ამბების შედეგებმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა არმიას შეეძლო მოკავშირეთა დაუხმარებლად, საკუთარი ძალებით, მოეხდინა მთელი გერმანიის ოკუპაცია და გაეთავისუფლებინა საფრანგეთი. ამან აიძულა ჩერჩილი დაეწყო დასავლეთ ევროპაში შემოჭრა და 1944 წლის 6 ივნისს დაიწყო მოკავშირეთა დესანტის გადასხმა ჩრდილოეთ საფრანგეთში.

აი რა გარემოებაში გაიხსნა მეორე ფრონტი ევროპაში. არ შეიძლება ამ ისტორიული ფაქტის არც მიფუჩეჩება, არც დავიწყება.

როგორც წიგნის „სრულიად საიდუმლოდ“ ავტორი რალფ ინგერსოლი ამტკიცებს, 1945 წლის იანვარში მოკავშირეებს ჯერ კიდევ არ ჰქონიათ შემუშავებული შემდგომი შეტევის გეგმა. გაუბედაობის მდგომარეობიდან და შემდგომი დარტყმის მიმართულების შესახებ დისკუსიიდან მოკავშირეები გამოიყვანა გამანადგურებელმა დარტყმამ, რაც ჰიტლერელთა ჯარებს მიაყენა საბჭოთა არმიამ; ეს მოხდა 1945 წლის იანვარში. ამ დარტყმამ ჩვენი არმია მიიყვანა მდინარე ოდერზე, უშუალოდ ბერლინის ახლოს.

დავა დამთავრდა: მოკავშირეთა არმიები გაემართნენ ჰამბურგის, ბერლინის, ლაიფციგისა და მიუნხენისაკენ.

1945 წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ბერლინი და იქ გამარჯვების დროშა ააფრიალეს. ექვსი დღის შემდეგ, 8 მაისს, ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა. ომი დამთავრდა.

* * *

სიმართლე წარსული ომის შესახებ, რომლის დამახინჯებასაც ცდილობენ ბატონი ჩერჩილები, ის არის, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე საბჭოთა ხალხმა გადაიტანა, რომ საბჭოთა არმია გამარჯვებული გამოვიდა ჰიტლერელთა ჯარებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომ საბჭოთა კავშირმა ევროპის მრავალმილიონიანი ხალხები გაათავისუფლა ფაშისტების უღლისაგან.

მეორე მსოფლიო ომმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს, ჰყავს პირველხარისხოვანი არმია, შეიარაღებული მოწინავე სტალინური სამხედრო მეცნიერებით.

ომმა გააქარწყლა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ და დაამტკიცა უსაფუძვლობა გერმანიის სამხედრო თეორიისა, რომელიც ემყარებოდა თავისი იარაღით ხალხების დაშინებასა და თავისი ოპერატიული გეგმების ავანტიურიზმს.

გერმანელ ფაშისტ სტრატეგებს მთელი ომის განმავლობაში არ დაუმტკიცებიათ ეგრეთწოდებული „კლასიკური სამხედრო თეორიის“ არც ერთი დებულება. ფრონტის გარღვევას, როგორც წესი, ვერ ახერხებდნენ, სრული გარემოცვა და მოსპობა (კანა) არ გამოსდიოდათ, საბჭოთა არმიის ფლანგების შემოვლა გერმანელებმა ვერ შესძლეს, უკან დახევა არ იცოდნენ: უკან დახევისას გარბოდნენ.

შაბლონი და სქემატიზმი გერმანული სამხედრო თეორიის დამახასიათებელი ნიშანია. არა მარტო ჰიტლერულმა გერმანიამ, არამედ მისმა სამხედრო იდეოლოგიამაც ვერ გაუძლო ომის განსაცდელს.

საბჭოთა სამხედრო მეცნიერება დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა. მან შეითვისა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის რუსი ხალხის ბრძოლის მთელი საუკეთესო მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

ამხანაგმა სტალინმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა სამხედრო მეცნიერება უმაღლეს სიმაღლეზე აიყვანა. თანამედროვე სტრატეგიაში უძვირფასესი წვლილი იყო ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული დებულება მუდმივ მოქმედი ფაქტორების შესახებ, რომლებიც სწყვეტენ ომის ბედს, აქტიური თავდაცვისა და კონტრშეტევის [illegible] ტევის კანონთა შესახებ, ჯარებისა [illegible] რეობათა და სა[illegible] ნამოქმედების შესახებ, თანამედროვე ომში ტანკებისა და ავიაციის დიდი მასების როლისა და არტილერიის, როგორც ჯარების ყველაზე მძლავრი გვარეობის შესახებ. ბრძოლებში, რომლებშიც ამხანაგი სტალინი საბჭოთა ჯარებს ხელმძღვანელობდა, განსახიერებულია სამხედრო ოპერატიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები.

„სამშობლოს წინაშე ამხანაგ სტალინის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან სამამულო ომის განმავლობაში შეარჩია, აღზარდა და პასუხსაგებ პოსტებზე დააწინაურა ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომის მთელი სიმძიმე. ესენი არიან: ბულგანინი, ვასილევსკი, კონევი, გოვოროვი, ჟუკოვი, ვატუტინი, ჩერნიახოვსკი, ანტონოვი, სოკოლოვსკი, მერეცკოვი, როკოსოვსკი, მალინოვსკი, ვორონოვი, ტოლბუხინი, იაკოვლევი, მალინინი, გალიცკი, ტროფიმენკო, გორბატოვი, შტემენკო, კურასოვი, ვერშინინი, გოლოვანოვი, ფედორენკო, რიბალკო, ბოგდანოვი, კატუკოვი, ლელიუშენკო და მრავალი სხვანი“ (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია, მეორე გამოცემა, გვ. 220).

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა არმიამ ცხადჰყო:

— თავდაცვის, გადამწყვეტი მიზნით კონტრშეტევის მოწყობისა და განხორციელების უნარი (მაგალითად, უნარიანი კონტრშეტევით განადგურებულ იქნა ფაშისტთა დიდი დაჯგუფებანი მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკთან);

— მოწინააღმდეგის გარემოცვისა და მოსპობის უნარი (ამ ხელოვნებას დამაჯერებლად მოწმობენ სტალინგრადი, კორსუნ-შევჩენკოვსკი, კიშინოვი-იასი, მინსკი, აღმოსავლეთი პრუსია და სხვ.);

— მოწინააღმდეგის ყოველი ფრონტის გარღვევის უნარი, რაც უნდა მიუვალი და გამაგრებული იყოს ეს ფრონტი (ამის მაგალითი ომმა ბევრი მოგვცა);

— მტრის დევნისა და მისსავე ტერიტორიაზე საბოლოოდ განადგურების უნარი;

— თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ოსტატურად გამოყენების და ჯარების თანამოქმედების მოწყობის უნარი.

საბჭოთა არმიის მთელი ეს თვისებები მოწმობენ, რომ ამ არმიის ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები წარმატებით იყენებენ სტალინურ სამხედრო მეცნიერებას.

* * *

მთელმა მსოფლიომ იცის საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა. საბჭოთა ხალხს ომი არ სურს. იგი არავის არასოდეს ომით არ ემუქრება. მაგრამ მან იცის ომი, იცის თავის დაცვა — წარსული ომი ამის უტყუარესად მკაფიო დადასტურებაა.

საერთაშორისო რეაქცია ახალი ომის გეგმებს ისახავს. ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხალხი გვერდს ვერ აუვლის ამას და მოითხოვს თავის არმიისაგან— გულმოდგინედ შეისწავლოს წარსული ომის გამოცდილება და განუწყვეტლივ სრულჰყოს საბრძოლო ოსტატობა.

გამარჯვების დღეს გამარჯვებული ხალხი მოაგონებს თავის შეიარაღებულ ძალებს მათს ამოცანებს — „ფხიზლად დაიცვან მოპოვებული მშვიდობა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა. იყვნენ საბჭოთა კავშირის ინტერესთა საიმედო დასაყრდენი“ (სტალინი).

გამარჯვებული ხალხი ადიდებს თავის საბჭოთა არმიას, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიამ შეჰქმნა და გამოაწრთო, ადიდებს მისი გმირობისათვის, სამშობლოსადმი მისი უსაზღვრო ერთგულებისათვის, მისი სამხედრო ოსტატობისათვის, მისი მოწინავე იდეოლოგიისათვის, იმისათვის, რომ იგი მზად არის და უნარი შესწევს იბრძოლოს ჩვენი საზოგადოების ნათელი იდეალებისათვის.

გამარჯვებული ხალხი ადიდებს თავის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, დიდ მხედართმთავარს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს — ამხანაგ სტალინს.

ომის დღეებმა განვლო. უკვე ორი წელია საბჭოთა ხალხი აღადგენს მტრის მიერ დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს, ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აშენებს ახალ საწარმოებს. საბჭოთა ადამიანები ისწრაფვიან უმოკლეს ვადაში მოიშუშონ ომის ჭრილობები, რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ომისშემდგომი სიძნელეები, გააუმჯობესონ ხალხის ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობა.

დიდია ომით წარმოშობილი სიძნელეები. მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა ხალხს არასოდეს არ შინებია სიძნელეებისა, არასოდეს არ დაუყრია იარაღი მათ წინაშე. მან იცის, რომ სიძნელეები დაძლეულ იქნება და საბჭოთა კავშირი მიაღწევს ძალების ახალ აყვავებას.

კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ნაცადი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები გაბედულად და მტკიცედ მიდიან წინ, კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

**ა. ბოგოლიუბოვი**

**საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი**

# გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის სხდომა

**ნიუ-იორკი,** 5 მაისი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის ხუთი მაისის დილის პლენარულ სხდომაზე ხუთმა დელეგაციამ — იუგოსლავიის, ბელორუსიის, ჩილის, ურუგვაისა და არგენტინისამ — შეიტანა ანალოგიური კომპრომისული წინადადებანი, რომლებიც მოითხოვენ, რომ გენერალურმა ასამბლეამ მოიწვიოს ებრაელთა სააგენტო, რათა გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი პალესტინის საკითხზე გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში. კომპრომისის ზოგიერთმა მომხრემ მკვეთრად გააკრიტიკა იურიდიული მოსაზრებანი ასამბლეის პლენარულ სხდომებზე ებრაელთა ორგანიზაციების მოსმენის წინააღმდეგ, მაგრამ გამოსთქვა მზადყოფნა კომპრომისისათვის, რათა ხელი შეუწყონ ჰარმონიას, რაც არსებითად საჭიროა დამაკმაყოფილებელი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღწევად.

იუგოსლავიის დელეგატმა კოსანოვიჩმა გულგატეხილობა გამოსთქვა იმის გამო, რომ გენერალურმა კომიტეტმა უარჰყო პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის წინადადება — მოწვეული ყოფილიყო ებრაელთა სააგენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. კოსანოვიჩმა განაცხადა, რომ ასეთი მიწვევა უნდა გააკეთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. მან შესწორება წამოაყენა გენერალური კომიტეტის რეზოლუციისათვის: გენერალურმა ასამბლეამ უნდა მოიწვიოს ებრაელთა სააგენტო და პალესტინის მოსახლეობის სხვა წარმომადგენლები, რათა ჩამოაყალიბონ თავიანთი თვალსაზრისი პოლიტიკურ კომიტეტში.

ჩილის დელეგატმა სანტა კრუსმა ილაპარაკა იმ არგუმენტის წინააღმდეგ, რომელიც წინათ იყო გამოთქმული ინგლისის დელეგატ კადოგანის მიერ გენერალურ კომიტეტში იმის შესახებ, რომ ებრაელთა ორგანიზაციებს უნდა მოუსმინონ მხოლოდ სპეციალურ გამომკვლევ კომისიაში. სანტა კრუსმა განაცხადა, რომ გენერალურმა ასამბლეამ უნდა მოისმინოს ყველა თვალსაზრისი, რათა გადასწყვიტოს, საჭიროა თუ არა გამომკვლევი კომისიის შექმნა. სანტა კრუსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ წესდების დამოწმება, როცა იგი ილაშქრებდა პლენარულ სხდომაზე ებრაელთა სააგენტოს დაშვების წინააღმდეგ, აგრეთვე არადამაჯერებელია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ებრაელთა სააგენტოს უნიკალური სტატუტი, რაც ხაზგასმით აღნიშნა წინათ ამერიკის დელეგატმა ოსტინმა. მაგრამ სანტა კრუსმა განაცხადა, რომ ჩილი დათანხმდება, რათა ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლებს მოუსმინონ პოლიტიკურ კომიტეტში ან პლენარულ სხდომაზე.

ურუგვაის დელეგატმა ფაბრეგატმა აგრეთვე განაცხადა, რომ ვერავითარი იურიდიული კაზუისტიკა ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ წესდება არ კრძალავს ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ებრაელთა წარმომადგენლების მოსმენას.

ამის შემდეგ გენერალურმა მდივანმა წაიკითხა კაიროდან არაბთა აღმასრულებელი კომიტეტის მდივან ხოსენ ელ ჰამიდისაგან მიღებული წერილი თხოვნით, ნება დართონ გამოსთქვას პალესტინელ არაბთა თვალსაზრისი. თავმჯდომარე არანიამ წინადადება წამოაყენა, რომ ხუთი შესწორებას ან შემცვლელ წინადადებათა ავტორებმა შეიმუშაონ რეზოლუციის ერთიანი პროექტი სესიის შესვენების დროს, რათა გადადგილდეს კენჭისყრა დღის პლენარულ სხდომაზე. ამერიკის დელეგაციის მომხსენებელმა განაცხადა, რომ კომპრომისული წინადადება მისაღებია.

**ნიუ-იორკი,** 5 მაისი. (საკდესი). ორ დღეს გაგრძელდა დისკუსია საკითხზე, რომ ებრაელთა სააგენტოს მიეცეს ნებართვა გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი პალესტინის პრობლემის შესახებ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სპეციალურ სესიაზე; ამ დისკუსიის შემდეგ ასამბლეის პლენარულმა სხდომამ, რაც 5 მაისს დღისით შესდგა, მოიწონა კომპრომისული წინადადება — მოწვეულ იქნას ებრაელთა სააგენტო გამოსვლისათვის პოლიტიკურ კომიტეტში. რეზოლუცია ავალებს აგრეთვე პოლიტიკურ კომიტეტს მიიღოს გადაწყვეტილება — მოწვეულ იქნან თუ არა პალესტინის სხვა ჯგუფების წარმომადგენლები.

44 დელეგაციამ ხმა მისცა კომპრომისულ რეზოლუციას, 7 დელეგაციამ (არაბულმა ქვეყნებმა, თურქეთმა და ავღანეთმა) ხმა მისცა წინააღმდეგ, 3 დელეგაციამ თავი შეიკავა. პლენარულმა სხდომამ 39 ხმის უმრავლესობით, 8 ხმის წინააღმდეგ (7 თავი შეიკავა) უარჰყო პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის წინადადება — მოწვეულ იქნას ებრაელთა სააგენტო თავისი თვალსაზრისის გამოსათქმელად ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

ამ წინადადებას ხმა მისცეს მხოლოდ სლავურმა ქვეყნებმა, ჩილმა და სამხრეთ აფრიკის კავშირმა.

შემდეგ არანიამ გამოაქვეყნა პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარის პირსონის (კანადა) განცხადება, რომ პოლიტიკური კომიტეტი სხდომაზე შეიკრიბება 6 მაისს. პოლიტიკური კომიტეტის დროებითი დღის წესრიგი შეიცავს ვიცე-თავმჯდომარისა და მომხსენებლის არჩევას, პალესტინის საკითხის მომმზადებელი სპეციალური კომისიის შექმნასა და ინსტრუქტირებას, რათა იგი განხილულ იქნას გენერალური ასამბლეის მეორე მორიგ სესიაზე. ამით გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა დაიხურა.

# პოლიტიკური კომიტეტის სხდომები

**ნიუ-იორკი,** 7 მაისი. (საკდესი). გუშინ დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა დღის წესრიგის ძირითადი საკითხის — ასამბლეის შემდეგი მორიგი სესიისათვის პალესტინაში არსებული მდგომარეობის შესახებ მოხსენების მოსამზადებლად კომისიის შექმნის საკითხის განხილვას. ფართო დისკუსია გაჩაღდა იმ საკითხზე, თუ პალესტინის რა ორგანიზაციებს უნდა მოუსმინონ ასამბლეაზე ამასთან დაკავშირებით ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ოსტინმა წინადადება წამოაყენა, რომ ინგლისს, როგორც მანდატარ სახელმწიფოს, უფლება მიენიჭოს განსაზღვროს, თუ ებრაელთა ან არაბთა რომელ ჯგუფებს უნდა მიენიჭოთ თავიანთი თვალსაზრისის გამოთქმის უფლება.

სხდომის დასაწყისში არჩეულ იქნენ კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე—მექსიკის წარმომადგენელი პადილია ნერვო და მომხსენებელი — დანიის წარმომადგენელი კაუფმანი. კომიტეტმა მოიწონა დღის წესრიგი, რომელიც შესდგება ინგლისის წინადადებისაგან პალესტინის საკითხთა სპეციალური კომისიის შექმნისა და ამ კომისიისათვის ინსტრუქციების შემუშავების შესახებ, აგრეთვე გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციისაგან (იმის შესახებ, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა მოისმინოს ებრაელთა სააგენტოს თვალსაზრისი და გადაწყვეტილება მიიღოს პალესტინის მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა მხრივ ასეთივე თხოვნების შესახებ).

არგენტინის დელეგატმა არსემ წინადადება წამოაყენა, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა თავიანთი თვალსაზრისის გამოთქმის უფლება მისცეს სამ ჯგუფს — ებრაელთა სააგენტოს, პალესტინის არაბი მოსახლეობის წარმომადგენელს და პალესტინის ებრაელი მოსახლეობის წარმომადგენელს და რომ ამ წარმომადგენელთ ნება დაერთოთ განიხილონ მხოლოდ საკითხი განზრახული გამომკვლევი კომისიის შემადგენლობისა და მისთვის ინსტრუქციათა შესახებ.

კომიტეტის თავმჯდომარემ წაიკითხა „პალესტინის არაბთა დელეგაციისაგან" მიღებული წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ პალესტინის არაბთა დელეგაციას უკან მიაქვს თავისი თხოვნა დელეგაციისათვის პალესტინელ არაბთა თვალსაზრისის გამოთქმის ნებართვის მიცემის შესახებ და რომ იგი შემდეგში ჩამოაყალიბებს თავის პოზიციას.

არაბთა დელეგაცია აცხადებს, რომ მას სხვა გამოსავალი არა აქვს, გარდა იმისა, რომ უკან წაიღოს თავისი თხოვნა, ვინაიდან გენერალური ასამბლეა 5 მაისს უსამართლოდ მოიქცა, გადაწყვეტილება რომ მიიღო უფლება მისცეს ებრაელთა სააგენტოს, „რომელიც უცხო თავსმოხვეულ უმცირესობას წარმოადგენს", გამოვიდეს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, მაშინ როცა ყველა სხვა თხოვნა გადაცემულ იქნა პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად. წერილში გამოთქმულია სურვილი „ეცნობოს გაერთიანებულ ერებს, რომ არაბებს არასოდეს არ უცვნიათ და არც არასოდეს სცნობენ მანდატს პალესტინაზე ან რაიმე აქტს თუ ორგანიზაციას, რომელიც გამომდინარეობს ასეთი მანდატის დაწესებიდან".

ხანგრძლივი დავა გაჩაღდა პროცედურის გარშემო, კერძოდ იმ საკითხის გარშემო, რომ შეიძლება თუ არა გაგრძელდეს პალესტინელ არაბთა წარმომადგენლობის პრობლემის განხილვა იმის გამო, რომ არაბებმა უკან წაიღეს თავიანთი თხოვნა. საბჭოთა დელეგატმა ა. ა. გრომიკომ წინადადება წამოაყენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების განხილვა გადაიდოს და კომიტეტის წევრებს შესაძლებლობა მიეცეთ შეისწავლონ იგი. გრომიკომ აღნიშნა, რომ არგენტინის მიერ შეტანილი წინადადება ნათელი არ არის, რადგან, როგორც ჩანს, ეს წინადადება კვლავ აყენებს ებრაელთა სააგენტოს მიწვევის საკითხს, რომელიც ასამბლეამ უკვე გადასწყვიტა. პოლიტიკურმა კომიტეტმა, სთქვა გრომიკომ, უნდა განახორციელოს მხოლოდ ეს გადაწყვეტილება. ეს უნდა გამოიხატოს იმით, რომ ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლები მიწვეულ იქნან, რათა რაც შეიძლება მალე გამოცხადდნენ კომიტეტის სხდომაზე და მიიღონ მონაწილეობა მის მუშაობაში, აგრეთვე იმით, რომ მათ უფლება მიენიჭოთ გამოსთქვან თავიანთი თვალსაზრისი პალესტინის პრობლემაზე.

გრომიკომ წინადადება წამოაყენა, რომ ან კომიტეტმა მთლიანად, ან მისმა ქვეკომიტეტმა განიხილოს სხვა ორგანიზაციათა თხოვნები იმის შესახებ, რომ მათ უფლება მიეცეთ გამოსთქვან თავიანთი თვალსაზრისი.

კომიტეტის თავმჯდომარემ პირსონმა წინადადება შეიტანა, რომ კომიტეტმა თავიანთი თვალსაზრისის ჩამოყალიბების მსურველი ორგანიზაციებისაგან თხოვნის მიღების საბოლოო ვადად დააწესოს 8 მაისის საღამო, მაგრამ გრომიკომ წინადადება წამოაყენა ეს ვადა დაწესდეს 7 მაისის საღამოსათვის. პოლიტიკურმა კომიტეტმა თავის საღამოს სხდომაზე 40 ხმით (შვიდმა თავი შეიკავა) მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს მოიწვიონ არაბთა აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე ებრაელთა სააგენტო, რათა პოლიტიკური კომიტეტის წინაშე გამოსთქვან თავიანთი თვალსაზრისი გენერალური ასამბლეის შემდეგი მორიგი სესიისათვის პალესტინის საკითხის შესახებ მოხსენების მოსამზადებლად სპეციალური კომისიის შექმნაზე. რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა ქვეკომიტეტი კოლუმბიის, პოლონეთის, ირანის, შვეციისა და ინგლისის შემადგენლობით კომიტეტის წინაშე გამოსვლის უფლების მინიჭების შესახებ სხვა თხოვნათა განსახილველად; ეს ქვეკომიტეტი შემდეგ აცნობებს კომიტეტს თავის რეკომენდაციებს იმის შესახებ, რომ „წარმოადგენენ თუ არა ის პირები, რომლებიც მოითხოვენ კომიტეტში გამოსვლის უფლებას, პალესტინის მოსახლეობის მნიშვნელოვან ელემენტებს, და შეიძლება თუ არა მიენიჭოთ მათ ასეთი უფლება". საბოლოო კენჭისყრამდე კომიტეტმა უარჰყო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, რომ მოწვეულ წარმომადგენლებს აეკრძალოთ კომიტეტის წინაშე პალესტინის საკითხის არსის განხილვა. ამრიგად, ქვეკომიტეტის შექმნით კომიტეტმა უარჰყო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, რომელიც გამოსვლის უფლების მინიჭების პირობად გულისხმობდა მანდატარი ქვეყნის — ინგლისის რეკომენდაციას.

კამათის დროს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა და რამდენიმე სხვა დელეგატმა უშედეგოდ სცადა მიეღწია კომპრომისისათვის, ამასთან მიეღწია იმისათვის, რომ კომიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გუშინ დილით შეტანილი წინადადების ნაწილი მაინც მოეწონებინა.

საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ოსტინი, რომელმაც იკითხა, იძლევა თუ არა მანდატარი ქვეყანა რჩევას გაეგზავნოს მოწვევა არაბთა აღმასრულებელ კომიტეტსო. კადოგანის დადებითი პასუხის შემდეგ ოსტინმა გამოაცხადა, რომ არგენტინა დათანხმდა გააერთიანოს თავისი წინადადება ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციასთან. შემდეგ მან წაიკითხა ასეთი ოთხი პუნქტისაგან შემდგარი წინადადების ახალი პროექტი: ჯერ-ერთი, მოწვეულ იქნან ებრაელთა სააგენტო და არაბთა აღმასრულებელი კომიტეტი; მეორე — გათვალისწინებული იქნას, რომ ამ ორ ორგანიზაციას და ყოველ სხვა ორგანიზაციას, რომლებიც წარმოადგენენ პალესტინის მოსახლეობას, შეეძლოთ გამოსთქვან პოლიტიკური კომიტეტის წინაშე თავიანთი შეხედულებანი გამოკვლევის ჩამტარებელი კომისიის შექმნისა და მისთვის ინსტრუქციების შემუშავების საკითხზე; მესამე—პოლიტიკურმა კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს მანდატარი ქვეყნის რეკომენდაციები განცხადების შემომტანი სხვა ორგანიზაციების გამოსვლის უფლების განსაზღვრისას (ეს პუნქტი აუქმებდა ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელ წინადადებას იმის შესახებ, რომ კომიტეტმა არავითარი განცხადება არ უნდა მიიღოს მანდატარი ქვეყნის მოუწონებლად); მეოთხე — აეკრძალოს მოწვეულ ორგანიზაციებს არსებითად განიხილონ პოლიტიკური კომიტეტის წინაშე მდგომი საკითხები.

ოსტინის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარემ პირსონმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და არგენტინის წინადადების ეს ოთხი პუნქტი ცალცალკე კენჭისყრაზე დააყენა. როცა კომიტეტმა პირველი პუნქტი მოიწონა, გამოვიდა საბჭოთა წარმომადგენელი გრომიკო, რომელმაც მოითხოვა, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ შეასრულოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება და შესაძლებლობა მისცეს ებრაელთა სააგენტოს რაც შეიძლება მალე მიიღოს მონაწილეობა სხდომებში.

შემდეგ კომიტეტმა მოიწონა მეორე პუნქტი. გვატემალის წარმომადგენელმა ემილიო ზეამ განაცხადა, რომ რეზოლუციის მესამე პუნქტი გადამწყვეტ ხმას მისცემს ინგლისს იმის განსაზღვრისას, თუ რომელ ჯგუფებს უნდა მოუსმინონ. ზეამ ხაზგასმით აღნიშნა პალესტინის მოსახლეობასა და ინგლისს შორის კონფლიქტის არსებობა და განაცხადა, რომ თუ კომიტეტს არ სურს პალესტინის ინტერესები მსხვერპლად შესწიროს ერთ ქვეყანას, მესამე პუნქტი უნდა გამოირიცხოს რეზოლუციიდან.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბარტოშმაც მტკიცედ მოითხოვა ამ პუნქტის გამორიცხვა. მან განაცხადა, რომ, რამდენადაც ინგლისმა პალესტინის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად დააყენა, მას უფლება აღარა აქვს ხელი შეუშალოს რომელიმე ჯგუფის გამოსვლას.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საჭირო არ არის მიღებულ იქნას სპეციალური გადაწყვეტილება ინგლისის აზრის განხილვის შესახებ, რადგან საჭიროა კონსულტაცია ყველა დელეგაციასთან, მათ შორის ინგლისის დელეგაციასთანაც. ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ მესამე პუნქტის მიღება შეიძლება განხილულ იქნას როგორც ცდა შეზღუდონ პალესტინის მოსახლეობის აზრის გამოთქმა, და წინადადება შეიტანა გამორიცხულ იქნას ეს პუნქტი, რათა არავის მიეცეს საბაბი მსგავსი ინსინუაციისათვის. ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ იგი კიდევ უფრო მტკიცედ გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელი წინადადების წინააღმდეგ, რომელიც შემდეგ ოსტინმა უკან წაიღო — იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ კომიტეტს ინგლისის მხრივ რეკომენდაციის მიუცემლად გამოსვლის უფლება არ მიეცა რომელიმე ორგანიზაციისათვის.

ავსტრალიის წარმომადგენელმა ჰოჯსონმა წინადადება შეიტანა შეიქმნას ქვეკომიტეტი ხუთი წარმომადგენლის შემადგენლობით, რათა მან განიხილოს სხვა ორგანიზაციათა განცხადებანი მათთვის კომიტეტში გამოსვლის უფლების მინიჭების შესახებ. მას შემდეგ, რაც რამდენიმე დელეგატმა, მათ შორის ბრაზილიის წარმომადგენელმა მუნიზამ, მხარი დაუჭირა ავსტრალიის წინადადებას, ოსტინი დაეთანხმა მას იმ პირობით, რომ ქვეკომიტეტის შემადგენლობაში ინგლისიც იქნება.

შემდეგ პირსონმა დანიშნა ქვეკომიტეტი კოლუმბიის, პოლონეთის, ირანის, შვეციის და ინგლისის წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომიტეტმა 31 ხმით ოთხის წინააღმდეგ მოიწონა ეს წინადადება.

ამის შემდეგ რამდენიმე დელეგატმა მკვეთრად გააკრიტიკა მეოთხე პუნქტი პალესტინის საკითხის არსებითად განხილვის აკრძალვის შესახებ. ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ბევრმა დელეგატმა უკვე გამოსთქვა სურვილი განხილულ იქნას პრობლემის ძირითადი ასპექტები, და იკითხა, რა ზიანი შეიძლება მიადგეს კომიტეტს, თუ დელეგატები და ორგანიზაციები საკითხის არსს განიხილავენ. გრომიკომ სთქვა, რომ მას ვერ გაუგია, რაღაზე იმსჯელებს კომიტეტი პალესტინის ორგანიზაციებთან, თუ საკითხის არსისათვის შეხება აკრძალული იქნება. რა საპროცედურო საკითხების განხილვას შესძლებენ პალესტინის წარმომადგენლები? გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პალესტინის ხალხი დაინტერესებულია პალესტინის მომავლის საკითხით და არა გამოკვლევის ჩამტარებლად კომისიის შექმნის საპროცედურო საკითხით. მან დასძინა, რომ გადაწყვეტილება განხილვიდან საკითხის არსის გამორიცხვის შესახებ არახელსაყრელ შთაბეჭდილებას მოახდენს მსოფლიოში.

დასასრულ გრომიკომ აღნიშნა, რომ საკითხის არსის განხილვა გარდუვალია, და ამიტომ ცდა— არ დაუშვან ეს — „ფანტაზიას" წარმოადგენს.

იუგოსლავიის წარმომადგენელი ბარტოშიც გადაჭრით გამოვიდა იმ წინადადებათა წინააღმდეგ, რომ არ იქნას განხილული პალესტინის საკითხის არსი.

ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა ბერენდსენმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს წინადადებას იმის შესახებ, რომ არ იქნას განხილული საკითხის არსი.

ავსტრალიის წარმომადგენელმა ჰოჯსონმა განაცხადა, რომ რეზოლუციის მეოთხე პუნქტი მიუღებელია, რადგან იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს თავმჯდომარეს, რამდენადაც თავმჯდომარეს უფლება აქვს აკრძალოს კამათი ისეთ საკითხზე, რომელიც საქმეს არ ეხება.

საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ წინადადება წამოაყენა შეიცვალოს ფორმულირება, რასაც დაეთანხმა ოსტინი. მაგრამ გრომიკომ განაცხადა, რომ პაროდის შესწორება არ სცვლის ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების ძირითად მიზანს.

შემდეგ კომიტეტმა 23 ხმით 19 ხმის წინააღმდეგ უარჰყო შესწორებული წინადადება. არაბთა სახელმწიფოებმა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავეს.

**ნიუ-იორკი,** 7 მაისი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელი საღამოს სხდომის დამთავრების შემდეგ ამერიკის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წარუდგინა ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებისა იმ მომავალი სპეციალური გამომკვლევი კომისიის რწმუნებათა და შემადგენლობის შესახებ, რომელშიც შევლენ კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ირანის, ჰოლანდიის, პერუს, შვეციისა და ურუგვაის წარმომადგენლები. შეტანილია წინადადება დაინიშნოს თითო წარმომადგენელი თვითეული ამ ქვეყნისაგან. რეზოლუცია მოითხოვს, რომ კომისიას მიეცეს ინსტრუქციები „შეკრიბოს, ანალიზი გაუკეთოს და ერთმანეთს შეადაროს ყველა მონაცემი, რასაც კი დამოკიდებულება აქვს პალესტინის საკითხთან, მიიღოს ცნობები დაინტერესებული მთავრობებისაგან და ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, რომლებისაგანაც კომისია თავისი შეხედულებით საჭიროდ მიიჩნევს ამ ცნობების მიღებას, შეისწავლოს ძირითად საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები და გენერალური ასამბლეის მომავალ მორიგ სესიას წარუდგინოს ისეთი წინადადებანი პალესტინის პრობლემის გადასაწყვეტად, როგორიც მან შეიძლება სასარგებლოდ სცნოს გენერალურ ასამბლეაში ამ პრობლემის ეფექტური განხილვისათვის". რეზოლუცია აგრეთვე ავალებს კომისიას მოიაროს „ის ადგილები, რომლებსაც იგი სასურველად ან საჭიროდ მიიჩნევს თავისი ფუნქციების შესასრულებლად".

მას შემდეგ, რაც ამერიკის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წარუდგინა თავისი წინადადება პალესტინაში შექმნილი სიტუაციის გამომკვლევი მომავალი სპეციალური კომისიის რწმუნებათა და შემადგენლობის შესახებ, არგენტინის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა, რომ კომისია შესდგებოდეს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისა და სხვა ქვეყნების ექვსი წარმომადგენლისაგან. არგენტინის რეზოლუცია წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას სხვა ქვეყნების ექვსი წარმომადგენელი კენჭისყრით შემდეგ საფუძველზე: ერთი — ხუთი არაბული ქვეყნიდან, სამი — ამერიკის კონტინენტის ქვეყნებიდან, გარდა შეერთებული შტატებისა, ერთი — წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან (ავსტრალია, ახალი ზელანდია, ფილიპინები), ერთი — აფრიკიდან, თუ ეგვიპტე არ იქნება არჩეული არაბული ქვეყნებისაგან, ან ერთი — აზიის კონტინენტის ქვეყნებიდან (ავღანეთი, ინდოეთი, ირანი, სიამი, თურქეთი), თუ ეგვიპტე არჩეულ იქნება კენჭისყრის საშუალებით არაბული ქვეყნებისაგან. რეზოლუციაში, კერძოდ, აღნიშნულია: „პალესტინის მოსახლეობის უმრავლესობა არაბული წარმოშობისაა, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია უგულებელჰყოს განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც ეს საკითხი წარმოადგენს იმავე წარმოშობის ხუთ წევრ ქვეყნისათვის".

# მდგომარეობა საფრანგეთში

**პარიზი,** 7 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ ქარხნის მუშების დელეგაციებმა ინახულეს ეროვნული კრების კომუნისტური ჯგუფის წევრები. მათ დაადასტურეს იმათი მოთხოვნები და მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ ჯგუფს მათი ინტერესების დასაცავად მიღებული გადაწყვეტილებისათვის. გაზეთი „ლუმანიტე" ჩამოსთვლის დელეგაციებს, რომელთა საერთო რიცხვმა 17 შეადგინა, და იუწყება, რომ „ობრის" ქარხნების დელეგაციამ, რომელიც კომუნისტურმა ჯგუფმა მიიღო, სამდურავი გამოსთქვა, რომ ეროვნული კრების სოციალისტურმა ჯგუფმა, ისევე როგორც „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის ჯგუფმა, არ მიიღო იგი.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

**პარიზი,** 6 მაისი. (საკდესი). დღეს ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი მადაგასკარზე მომხდარი ამბების შესახებ, მადაგასკარის დეპუტატ კასტელანის ინტერპელაციასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, 29 მარტს მადაგასკარზე აჯანყებამ იფეთქა. მკვიდრნი თავს დაესხნენ საფრანგეთის სამხედრო ბანაკს მორამანგაში, ტანანარივის მახლობლად. მოჰკლეს რამდენიმე ფრანგი ოფიცერი და ჯარისკაცი. საფრანგეთის ხელისუფლებმა ზომები მიიღეს აჯანყების ჩასაქრობად. მაგრამ მადაგასკარზე დღემდე გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი საფრანგეთის ჯარებსა და აჯანყებულთა შორის.

საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა მადაგასკარზე დე კოპემ განაცხადა, რომ აჯანყება მოაწყო „მადაგასკარის განახლებისათვის დემოკრატიული მოძრაობის" პარტიამ. დე კოპემ განაცხადა აგრეთვე, რომ ამ პარტიის მიზანია ფრანგების განდევნა მადაგასკარიდან.

საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ მიღებული ზომების შედეგად კუნძულზე დააპატიმრეს მრავალი მოქალაქე. დააპატიმრეს ზემოაღნიშნული პარტიის ლიდერები, აგრეთვე ეროვნული კრების ორი დეპუტატი—დასახელებული პარტიის წევრები რავოახანგი და რაზემანიარა, აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოს წევრი ჟიულ რანენო.

საფრანგეთის პარლამენტის წევრთა დაპატიმრებამ გაკვირვება გამოიწვია პარლამენტის წრეებში, რადგან საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად პარლამენტის წევრთა პიროვნება ხელშეუხებელია. დეპუტატის დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ იმ პალატის ნებართვით, რომლის წევრიც იგი არის.

დღეს კამათი დაიწყო მადაგასკარის დეპუტატმა, „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" წევრმა კასტელანიმ; იგი თავს დაესხა „მადაგასკარის განახლებისათვის დემოკრატიული მოძრაობის" პარტიას, რომელსაც ბრალად დასდო მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება. კასტელანიმ გააკრიტიკა აგრეთვე მადაგასკარის ფრანგ ხელისუფალთა სისუსტე და უმოქმედობა.

ამ საკითხზე კამათი გაგრძელდება 8 მაისს.

## საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა

**პარიზი,** 6 მაისი. (საკდესი). დღეს „მიუტიუალიტეს" დარბაზში გაიხსნა სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა ლეონ ბლუმისა და რამადიეს თანდასწრებით. პარტიის გენერალური მდივნის გი მოლეს გამოსვლის შემდეგ, რომელმაც აზრი გამოსთქვა მთავრობის გადადგომის სასარგებლოდ, სიტყვა აიღო რამადიემ. მან აღნიშნა, რომ მთავრობის კრიზისი გააძლიერებს ეკონომიურ სიძნელეებს. „საჭიროა, — განაცხადა მან, — რომ ჩვენ შევძლოთ განვაგრძოთ ჩვენი საქმე ივლისამდე". ამის შემდეგ რამადიე წავიდა ეროვნული კრების სხდომაზე.

სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა გრძელდება.

## ვარშავას ჩავიდა უკრაინის მთავრობის დელეგაცია

**ვარშავა,** 6 მაისი. (საკდესი). ვარშავაში ჩამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სტარჩენკოს მეთაურობით. დელეგაციაში შედიან უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რეპატრიაციის საქმეთა სამმართველოს რწმუნებული რომაშჩენკო, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მაშკოვი და სხვები. დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის მინისტრთა საბჭოსთან მყოფი ვიცე-მინისტრი ბერმანი, ვიცე-მინისტრები ლეშჩიცკი და ვოლსკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების დირექტორი გუბრინოვიჩი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ლებედევი და სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

როგორც იუწყებიან, ვარშავაში უკრაინის სსრ დელეგაციის ყოფნის დროს ხელმოწერილი იქნება ოქმი პოლონელი და უკრაინელი მოსახლეობის რეპატრიაციის დამთავრების შესახებ.

## ბევინის განცხადება ინგლის-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ

**ლონდონი,** 6 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა რატიფიკაცია უყოს ინგლის-პოლონეთის საფინანსო შეთანხმებას. ბევინის სიტყვით, მან მთავრობას ეს ნაბიჯი იმ საუბრების საფუძველზე ურჩია, რომლებიც ჰქონდა პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან მოსკოვიდან დაბრუნებისას. რატიფიკაცია, სთქვა ბევინმა, გააადვილებს ინგლისსა და პოლონეთს შორის ვაჭრობის განახლებას.

ბევინი შეეხო პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და სთქვა, რომ საუბრის მსვლელობაში განხილულ იქნა საკითხები, „რომლებიც მიმდინარე ინტერესს წარმოადგენენ ჩვენი ორივე მთავრობისათვისო".

## ინგლისის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დაპატიმრება

**ლონდონი,** 5 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი უ. ბრუქსი 5 მაისს საღამოს დააპატიმრეს ლონდონში ესპანეთის საელჩოს წინ გამართული დემონსტრაციის შემდეგ.

ბრუქსი იმ დეპუტაციის წევრი იყო, რომელიც შესდგებოდა კომუნისტებისა და სხვა მემარცხენე ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან და რომელმაც თავი მოუყარა #2,000 ხელმოწერას პეტიციაზე; პეტიცია მოითხოვდა გაეუქმებინათ სასიკვდილო განაჩენი, რაც ესპანეთში გამოუტანეს ცხრა ჭაბუკს ანტიფრანკისტული საქმიანობისათვის. დემონსტრაციის მონაწილეებს შეატყობინეს, რომ ყველა მოსამსახურემ დასტოვა საელჩო, მაგრამ ბრუქსი უარს ამბობდა წამოსვლაზე, სანამ ერთ-ერთმა მოსამსახურემ არ მიიღო პეტიცია. ბრუქსი წაიყვანა ორმა პოლიციელმა; მას ბრალად ედება წესრიგის დარღვევა.

## ჩინეთის დემოკრატიული ლიგის ლიდერი „მთავრობის რეორგანიზაციის" შესახებ

**ნანკინი,** 7 მაისი. (საკდესი). როგორც ჰონკონგში გამომავალი გაზეთი „ხუასიანბაო" იუწყება, აპრილის დამლევს შანხაიდან ჰონკონგს ჩავიდა ჩინეთის დემოკრატიული ლიგის ცენტრალური კომიტეტის წევრი პროფესორი დენ ჩუ-მინი. გაზეთ „ხუასიანბაოს" კორესპონდენტთან ინტერვიუში დენ ჩუ-მინმა განაცხადა, რომ „მთავრობის რეორგანიზაცია პრაქტიკულად ვერ გამოიწვევდა ჩინეთის მოსახლეობის ინტერესს. გომინდანის დიქტატურის ბედი, როგორც ფიქრობენ, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, რამდენადაც სამოქალაქო ომი, რომელიც ჩინეთში გრძელდება, მას ბოლომდე მიიყვანს". დენ ჩუ-მინი შეეხო მთავრობაში ჩინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობის საკითხს და განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატებისათვის საჭირო აღარ არის მიმართონ შეცდომაში შემყვან ხერხებს. „ისინი თავიანთ თავს ხშირად სწავლულებს უწოდებენ. ამჟამად მათ ნიღაბი მოიხსნეს და შესაძლებლობა მისცეს სხვებს დაენახათ, რომ მათი ვარაუდები საკუთარ ინტერესებზეა აგებული".

## ნიუ-იორკის საბაჟოში დაიკარგა საბჭოთა დიპლომატიური ბარგი

**ნიუ-იორკი,** 6 მაისი. (საკდესი). ამას წინათ ნიუ-იორკის ნავსადგურის საბაჟოში მოხდა მეორე შემთხვევა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ბარგის დაკარგვისა, რომელიც გაგზავნილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენელთა სახელზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებული საბჭოთა წარმომადგენლის სახელზე გაგზავნილი და ნიუ-იორკში ამერიკულ გემ „ალბიონ ვიქტორიათი" ჩატანილი 29 ყუთი დიპლომატიური ბარგიდან საბაჟოს ხელისუფლებმა მხოლოდ 27 ყუთი გასცეს.

მანამდე იყო შემთხვევა, რომ გემ „გოგოლით" სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს წარმომადგენლისათვის ჩატანილი 19 ყუთი დიპლომატიური ბარგიდან მხოლოდ 15 ყუთი გასცეს.

ამ უცნაური „დაკარგვის" გამო საბაჟოს ხელისუფალთათვის მიცემული შეკითხვები უშედეგოდ რჩება.



**თბილისი.** მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის ხედი ბერიას სახელობის მოედნიდან
ფოტო რ. აკოფოვისა

## იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების საღამო ჭიათურაში

ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც 800-ზე მეტი კაცი დაესწრო. მოხსენებით ი. გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვიდნენ გ. აბდუშელიშვილი და ვ. ცუხიშვილი.

პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა ნაზი ჯორბენაძემ და ამირან ჯაფარიძემ. პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: გოგონა ყიფიანმა, ლამარა ჯორბენაძემ, ციალა აბრამიშვილმა და ლამარა ბიბინეიშვილმა.

პირველი განყოფილების დასასრულს პოეტმა ი. გრიშაშვილმა წაიკითხა თავისი შვიდი ლექსი.

მეორე განყოფილებაში ნაჩვენები იყო მოსწავლეთა თვითმოქმედების ნიმუშები.

## სემინარი

**10 მაისს, საღამოს 8 საათზე,** მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, 33-35) შესდგება ეკონომიკის მეცნიერების მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა, მიძღვნილი დოცენტ ი. მიქელაძის წიგნის — „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა" განხილვისადმი. შესავალ მოხსენებას გააკეთებს დოცენტი ვ. მელქაძე.

ეკონომისტ პროფესორ-ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

## თეატრებში

**9 მაისს:** ფალიაშვილის სახელობის — „აბესალომ და ეთერი"... 

**9 მაისს:** ფალიაშვილის სახელობის — „ამბავი ტარიელისა"; **რუსთაველის სახელობის** — „სადგურის უფროსი" (აბონემენტი № 2, წარმოდგენა 10); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვის ემორჩილება დრო"; **გრიბოედოვის სახელობის** — „სტალინგრადიდან დაშორებით" (პრემიერა); **სომხური** — „მეზღვაურები"; **მუსიკალური კომედიის**—„სამთა სიყვარული".

## კინოებში

**9 მაისს:** რუსთაველის სახელობის — „ჩვენი გული"; **„ამირანი"** — „პირველი ხელთათმანი"; **„თბილისი"** — „განთავისუფლებული მიწა"; **„სპარტაკი"** — „სიცოცხლისათვის"; **„კომკავშირელი"** — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ"; **26 კომისრის სახელობის** — „ბრძოლა"; **კოლმეურნე"**—„ქვის ყვავილი"; **კულტურის სახლი** —„ალექსანდრე პარხომენკო".

**ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია აცხადებს, რომ ფილიალთან არსებული გამოფენა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" და ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა 9 მაისს მნახველთათვის ღია იქნება დილის 9 ს. 30 წ. საღამოს 6 საათამდე (ტელეფონები: საექსკურსიო ბიუროსი — 3-14-84, ან კომუტატორით — 3-05-60, ავლაბრის სტამბისა — 3-41-84).**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1947 წ. 21 მაისს, დღის 2 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დიმიტრი ფილიპეს-ძე კალანდაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ი. ბ. სტალინის მოძღვრება იდეების როლის შესახებ საზოგადოებრივ განვითარებაში, 1901-1907 წ. წ. ნაშრომების მიხედვით". ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **კ. ბაქრაძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ს. ლარცულიანი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (მთაწმინდა)
9 მაისს **დიდი სახალხო სეირნობა** მიძღვნილი

**გამარჯვების დღისადმი**

**ესტრადაზე კონცერტი**

მონაწილეობენ: **ნატო ვაჩნაძე** (რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი), **მ. ყვარელიშვილი** (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), **ალ. გომელაური** და **აკ. კვანტალიანი** (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები) და სხვები.

დასაწყისი საღამოს 8½ ს.

**პარკში** — მხატვრული თვითმოქმედი წრეებისა და სპორტის ოსტატების გამოსვლები, ორკესტრები, საერთო ცეკვა, სხვადასხვა ატრაქციონები.

**სალექციო დარბაზში** — ამხ. ფრიშენბერგის მოხსენება „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა", დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**საჭადრაკო დარბაზში** — ერთდროული თამაშის სეანსი დასაწყისი 8 საათზე. **ღამით საბავშვო სეირნობა.**

პარკი ღიაა დილის 11 საათიდან.

საქართველოს **„გლავკინოპროკატის"** კანტორა

ამ დღეებში თბილისის ეკრანებზე გამოუშვებს ახალ მხატვრულ ფილმს

**„ბალეტის სოლისტი"**

დადგმა ა. ივანოვსკისა. მთავარ როლებში: **მ. რედინა, ნ. იასტრებოვა, ვ. კაზანოვიჩი, ო. ჟიზნევა, მ. გარდინი,** სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ სახალხო არტისტ **ა. ულანოვა.**

„ლენფილმის" კინოსტუდიის ნაწარმოები, „გლავკინოპროკატის" გამოშვება.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი
9 მაისს **სეირნობა**
**გამარჯვების დღის** აღსანიშნავად

კინოთეატრის შენობაში პოდპოლკოვნიკ ტ. ლიანოვის ლექცია „გერმანიის ფაშიზმის განადგურება", დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ორკესტრი, კინო, თამაშობანი, ატრაქციონები, ცეკვა ჯაზის თანხლებით, მასობრივი ცეკვა-თამაში.

**კონცერტი 3 განყოფილებად. სახალხო არტისტები: გ. ვენაძე, შ. ღამბაშიძე, ხ. ეორგულიანი,** დამსახურებული არტისტი **ც. თაყაიშვილი.** საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ჯაზი **ჯ. ბაგრატიონის** ხელმძღვანელობით.

**ბავშვებისათვის:** საბავშვო სეირნობა, საბავშვო რკინიგზა, თამაშობანი, კარუსელი და სხვა.

ტირაჟი 110,000 УЭ 00170

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.